



ციხეხანი

№ 18 / 10 - 23 თებერვალი 2010

ISSN 1987-7528



ფასი 2.80 ლარი

ტიმოშენკო დამარცხდა. ინაუკოვიჩის ჯერ არ გაუმარჯვია **83. 12**

მერის „ჩრდილოვანი“ კანდიდატები **83. 16**

ნაწილობრივ უფასო საჯარო ინფორმაცია **83. 6**

ერთი ნაბიჯი წინ და რამდენიმე უკან **83. 20**

მოსამენების პოლიტიკა **83. 22**

სამოქალაქო განათლება VS სამოქალაქო თავდაცვა **83. 10**

ჯანდაცვა – სწორი გადაწყვეტილების ილუზია **83. 36**

ლიბერალური ნაციონალიზმის დასასრული **83. 39**



„სიმართლის“ იმპორტი კავკასიაში **83. 28**

כאחטע
כעהחום! fm 101.9
חנהטנהחטהאר



FM 101.9 MYRADIO.GE




חנהטנה





ნომარი:

- 02 რედაქტორი
- 04 მოკლედ
- 06 ვრცლად
- 10 ორი აზრი
შეიძლება თუ არა, რომ სამოქალაქო თავდაცვის გაკვეთილები სკოლაში იდეოლოგიზირებული გახდეს?
ზაალ ანდრონიკაშვილი V.S.
დავით დარჩიაშვილი



პოლიტიკა

- 12 ტიმოშენკო დამარცხდა. იანუკოვიჩს ჯერ არ გაუმარჯვია

- 16 თვითმმართველობის არჩევნები 2010 „ჩრდილოვანი“ კანდიდატები **კონფლიქტები**
- 18 დაგვიანებული სტრატეგია




- კავკასია**
- 20 ერთი ნაბიჯი წინ და რამდენიმე უკან **ადამიანის უფლებები და სამართალი**
- 22 მოსმენების პოლიტიკა
- 25 პოლიტმატიმორები **საქართველოში**
პოლიტიკური აქტიურობის სანაცვლოდ – ციხის საკანი

საზოგადოება

- 28 „სიმართლის“ იმპორტი კავკასიაში
- 32 **განათლება**
გინდათ პატრიოტები? ასწავლეთ სამოქალაქო განათლება
- 35 **ტურიზმი საქართველოში**
14 ტუალეტი და ევროინტეგრაცია
- 36 **ახალი ინიციატივები ჯანდაცვაში**
სწორი გადაწყვეტილებების ილუზია
- საუბრები ლიბერალიზმზე**
- 39 ლიბერალური ნაციონალიზმის დასასრული?

გარეკანზე:

„სიმართლის“ იმპორტი კავკასიაში
ილუსტრაცია: ლევან ასათიანი





„ე.წ. ლიბერალების ვაი-ვიში“ გრძელდება, არ ვიცი, მე როგორი ლიბერალი ვარ – ულტრა, ნეო, მწვანე თუ თეთრი, ან ვარ კი საერთოდ? თუმცა, ამ ვაი-ვიშს მეც ვუერთდები. საბაბს პრეზიდენტი მაძლევს, რომელიც, ბოლო წლებია, ისეთ გადაწყვეტილებებს იღებს, რომლებსაც უმრავლესობა ტაშს უკრავს. მოსწავლეთათვის „მხედროული სულის ჩანერგვაც“ ერთ-ერთი ამ გადაწყვეტილებათაგანია.

მომავალი თაობების აღზრდა გმირთა მოედანზე მორიგი შადრევნის მონტაჟი არ არის, რომელიც შეგიძლია ნებისმიერ დროს მოშლო.

პრეზიდენტი კი გვარქარებს და გვეუბნება, რომ მსჯელობისა და განხილვის დრო არ არის. რომ ქვეყანა განსაცდელშია, ტერიტორიები – წართმეული და რომ მტრისაგან თავდასაცავად სახელმწიფოს უკვე სკოლის მოსწავლეების დახმარებაც სჭირდება.

ხელისუფლებას იმიტომ ვირჩევ, რომ ჩემი უსაფრთხოება დაცვას და საკუთარი ეზოს

სადარაჯოზე ჯოხით დგომა არ დამჭირდეს. მით უფრო არ მინდა, თავდაცვის ეს ხერხები საკუთარ შვილს ჩავუწერგო. და თუ ამისკენ მომიწოდებს ხელისუფლება, ეს სხვა არაფერია, თუ არა პასუხისმგებლობის ჩემსა და სკოლის ასაკის თაობაზე დელეგირება.

ის, რომ პრეზიდენტს ამ ინიციატივაში უმრავლესობის მხარდაჭერა აქვს, საქმეს კიდევ უფრო ართულებს. დღეს იმის ხმამალა თქმაც საკმარისია, რომ ეს ინიციატივა არ მოგნონს – ავტომატურად მოლაღატე ხდება. მიუხედავად ამისა, არ შემიძლია, არ ვთქვა, რომ სამხედრო-პატრიოტული სწავლება – ეს სკოლის სამხედრო იდეოლოგიზაციაა.

**თამარ ბაბუაძე,
საზოგადოების განყოფილების რედაქტორი
tamar.babuadze@liberali.ge**

რედაქტორი: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდიაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი ნინო ჯავახიშვილი / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები სოფო ჭავჭავაძე / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუჯია / ჟურნალისტიკური გამოძიება ბესო კურტიანიძე / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ადამიანის უფლებები და სამართალი ნინო ბუჩქიშვილი / ახალი ამბები ნათია ახალაშვილი რედაქციის: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი ნინო სვანიძე / კორექტორი ნინო საითიძე ბამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი შალვა ჩუბინიძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია ბამომცემი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge სსპა ბამომცემი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია. ბმულები: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02. ტირაჟი: 5000 ცალი. გამოდის ორ კვირაში ერთხელ. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2,80 ლარი. www.liberali.ge

გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ იგი გამოსვლის დღეს
(ყოველ მეორე ოთხშაბათს)
თქვენთვის სასურველ მისამართზე



ლიბერალი

6 ნომერი (3 თვე) – 16,80 ლარი
13 ნომერი (6 თვე) – 36,40 ლარი
25 ნომერი (1 წელი) 70 ლარი

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე:
23 37 31, (899) 48 62 41
ან მოგვანოვდით თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია
ელ-ფოსტით: info@liberali.ge



ქონებაზე ღირს ბრძოლა

გიბრალტარის სასამართლომ ჯოზეფ ქეის მიერ წამოწყებულ დავასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის სასარგებლოდ გამოიტანა. ამ ინფორმაციას პატარკაციშვილების ოჯახი და მათი ადვოკატი ლაშა ბირკია ავრცელებენ. მათი თქმით, 1 თებერვალს გიბრალტარის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ყველა აქტივი, რომელზეც ამ დავის ფარგლებში ჯოზეფ ქეი პრეტენზიას აცხადებდა, 100 პროცენტით ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის საკუთრებაა.

ადვოკატის თქმით, სასამართლომ გადაწყვიტა, ქეის აეკრძალოს ნებისმიერი ოურიდიული ქმედება აღნიშნულ აქტივებთან დაკავშირებით და მასვე დაეკისრა ოჯახის მიერ განუხლები სასამართლო ხარჯების სრულად ანაზღაურება.

„ეს გადაწყვეტილება საბოლოოა. მოსამართლემ, ასევე, ძალაში დატოვა გადაწყვეტილება ქეის პირად აქტივებზე ყადაღის დადების შესახებ. სასამართლოს

გადაწყვეტილებით, თუ ჯოზეფ ქეი დაარღვევს, ან არ დემორჩილება სასამართლო გადაწყვეტილებებს, შესაძლებელია მისი დაპატიმრება გიბრალტარში ჩასვლისთანავე“, – აღნიშნა ბირკიამ და დასძინა, რომ ქეის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაც არ არის გამორიცხებული.

თავის მხრივ, ქეის მხარე პატარკაციშვილებს ცრუ ინფორმაციის გავრცელებისთვის სამართლებრივი პასუხისმგებლობით ემუქრება. „გადაწყვეტილებაში, ანუ ერთადერთ დოკუმენტში, რომელიც ჩვენთვის ცნობილია, შვით თეთრზე წერია, რომ სადავო ტრასტებს ორივე პირი – პატარკაციშვილი და ქეი ფლობდნენ, მაგრამ რადგან სასამართლოს საბუღალტრო ექსპერტებს წილების პროცენტული რაოდენობა არ შეუსწავლიათ, მოსამართლე განკარგულებას გასცემს, ჩატარდეს დამატებითი ძიება და ორივე მხარის კუთვნილი პროცენტების რაოდენობა დადგინდეს. ასეთი ძიება კი დღემდე არ ჩატარებულა“, – აცხადებენ ბიზნესმენ ქეის წარმომადგენლები.

უვიზო რეჟიმი სხინვალსა და მოსკოვს შორის

მოსკოვმა და ცხინვალმა ოფიციალური შეთანხმება გააფორმეს. მარტის დასაწყისიდან სამხრეთი ოსეთის მოსახლეობას რუსეთში შესასვლელად ვიზები აღარ დასჭირდება. ამ შეთანხმების მიხედვით, ისინი რუსეთში ვიზის გარეშე დარჩენას 90 დღის განმავლობაში შეძლებენ. „ამისათვის მხოლოდ პირადობის მოწმობა და მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა იქონიონ თან“, – განაცხადა ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრმა მურატ ჯიგოევამ.

რუსეთის ფედერაციასა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის უვიზო მომოსვლის შესახებ შეთანხმებას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა და ცხინვალის რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრმა მურატ ჯიგოევამ მოაწერეს ხელი.

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები ჯერ კიდევ შარშან მაისში აცხადებდნენ, რომ ამ შეთანხმებისთვის ყველა დოკუმენტი მზად იყო. მაშინ საუბარი იყო ორმაგ მოქალაქეობაზეც, თუმცა დღეისათვის ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას.

არაბები „იმედის“

ფლობას უარყოფენ

არაბული საინვესტიციო ფონდის RAKIA-ს (Ras Al Khaimah Investment Authority - RAKIA) ხელმძღვანელობა აღნიშნავს, რომ არც ფონდი და არც მისი რომელიმე შვილობილი კომპანია ტელეკომპანია „იმედის“ აქციებს არ ფლობს. კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის ჰატერ მასაადის თქმით, „იმედის“ მფლობელი RAK Georgia Holding-ი, ქართული კომპანიაა და საერთო არაფერი აქვს არაბულ საინვესტიციო კომპანია RAKIA-სთან. „იმედის“ აქციების 90 პროცენტის RAK Georgia Holding-სთვის მიყიდვის შესახებ განცხადება დაახლოებით ერთი წლის წინ ჯოზეფ ქეიმ გააკეთა. მისივე თქმით, RAK Georgia Holding Rakeen Georgia-ს შვილობილი კომპანიაა. მასაადი აბუ-დაბოში გამოხატულ ინტელისურენოვან გამოცემა The National-თან აცხადებს, რომ „საქართველოში არის ვიღაც, ვინც საკუთარი კომპანია შექმნა სახელწოდებით RAK Georgia Holding. ეს კომპანია მართლაც არსებობს, მაგრამ ჩვენ მასთან არაფერი გვაქვს საერთო. პრობლემა ისაა, რომ მე არ დამირეგისტრირებია სახელი RAK როგორც ბრენდი“. „რატომ უნდა ვიყიდო ტელეკომპანია საქართველოში? ეს პატარა ქვეყანაა. რისთვის დამჭირდება იქ ტელეკომპანია?“ – კითხულობს ჰატერ მასაადი. საქართველოში RAKIA-ს საქმიანობა მხოლოდ ფოთის ინდუსტრიული ზონით შემოიფარგლება, რომელიც მის შვილობილ კომპანიას „რაკია საქართველო – ფოთის ინდუსტრიულ ზონას“ სამართავად 99-წლიანი იჯარით აქვს გადაცემული.

შეთანხმება ნოლიდელის პარტიასა და „ედინაია როსიას“ შორის

ზურაბ ნოლიდელის პარტია „მოდრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ და რუსეთის მმართველი პარტია „ედინაია როსია“ თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას აფორმებენ.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხელშეკრულებას ნოლიდელი და „ედინაია როსიას“ სახელით მისი თავმჯდომარე, სათათბიროს სპიკერი ბორის გრიზლოვი მოაწერენ ხელს, წინასწარ გავრცელდა. მსგავსი შეთანხმება „ედინაია როსიასთან“ უკრაინულ „რეგიონების პარტიასაც“ აქვს.

შეთანხმების ტექსტში ნათქვამია, რომ პარტიები „ისწრაფვიან, შეიტანონ წვლილი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის კეთილმეზობლობის განმტკიცებაში“.

რეგულარული კონსულტაციები, „აქტუალური საკითხების“ შესახებ ინფორმაციის გაცვლა, პარტიული მშენებლობის გამოცდილების გაზიარება, კადრების სწავლება – თანამშრომლობის გეგმები ასეთია.

ხელშეკრულების პროექტში ნათქვამია, რომ მხარეები რეგულარულად მოახდენენ პარტიული დელეგაციების გაცვლას სხვადასხვა დონეზე, გამართავენ ექსპერტებთან შეხვედრებს, ასევე – სხვა ორმხრივ ღონისძიებებს.



რისხვეპი


40 ათასი ლარის გადახდა დააკისრა სასამართლომ სანდრო გორგვლიანის მკვლელობაში ბრალდებულ 4 პირს მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. დაზარალებულები 10-ჯერ მეტს ითხოვდნენ.

250 მილიონ ლარს ელოდება საქართველოს მთავრობა პრივატიზაციიდან 2010 წელს.

14,3 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდება აშშ-ს სახელმწიფო ვალი ამერიკის წარმომადგენლობითი პალატის გადაწყვეტილებით.

250 ათასი ბაყაყი გაიყიდა საქართველოდან ევროპაში 2009 წელს.

სიტაჯუი



„ჩვენ უარს ვამბობთ, ვალიაროთ რუსეთის პრეტენზიები აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. ჩვენ ვენინააღმდეგებით ევროპაში გავლენის რაიმე სფეროებს, სადაც ერთი ქვეყანა ცდილობს, გააკონტროლოს მეორე ქვეყნის მომავალი. აშშ და რუსეთი ყოველთვის ვერ შეთანხმდებიან. ჩვენ განსხვავებული ისტორია გვაქვს, განსხვავებული გამოცდილება და პერსპექტივები. ჩვენი ინტერესებიც ყოველთვის არ დაემთხვევა ერთმანეთს. მაგრამ როდესაც უთანხმოება გვექნება, ჩვენ მოვძებნით კონსტრუქციულ გზებს ამ უთანხმოების მოსაგვარებლად“.

ჰილარი კლინტონი
29 იანვარი, პარიზი

„საქართველოს ხელისუფლება, რომელიც რეფორმებს არ ჩაატარებს, განწირული იქნება. დემოკრატია და თავისუფალი ეკონომიკა ფორიანი კანფეტი არ არის. დემოკრატია და თავისუფალი ეკონომიკა საქართველოს გადარჩენის, გამთლიანების და განვითარების გზაა“.

კახა ბენდუქიძე
1 თებერვალი, „კვირის პალიტრა“

„ისინი [ვაიპოლიტიკოსები] აღიარებენ იმას, რომ საქართველოს შიდა საქმეები აქ კი არ უნდა გადაწყდეს, არამედ ისევ მოსკოვში, როგორც ერთ დროს იყო. თუ რომელიმე პოლიტიკოსი, ბოდიში, მაგრამ არის „ჩმორი“, საქართველო არასდროს „დაჩმორდება“ და არც მათ დააჩმორებინებს თავს“.

მიხეილ სააკაშვილი
2 თებერვალი, ბორჯომი

ნაწილობრივ უფასო

საჯარო ინფორმაცია

პარლამენტარებმა, რომლებმაც საჯარო რეესტრის შესახებ კანონში ცვლილებებს უყარეს კენჭი, მხოლოდ ნაწილობრივ იცინან, რას დაუჭირეს მხარი.

მაია ნიკლაური

4 თებერვალს საჯარო რეესტრის ხელმძღვანელობამ საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ სამენარმეო რეესტრის ამონაწერის მიღება უფასოა. მონაცემებს სანარმოს მფლობელის, მენილეების, დამფუძნებლების, დაფუძნების თარიღის, ყადაღისა და ჯარიმების შესახებ საჯარო რეესტრის ვებგვერდზე მართლაც უფასოდ ნახავთ. თუმცა რეესტრის ვებგვერდის ელექტრონულ ბაზაში მხოლოდ 2010 წლიდან დარეგისტრირებული და განახლებული მონაცემებია. საერთო ჯამში, დაახლოებით 15 500 ამონაწერია.

თუ კომპანია, რომლის მონაცემებიც გაინტერესებთ, 2010 წლის 1 იანვრამდე დარეგისტრირებული და მენარმემ ამონაწერი არ განაახლა, თქვენ საჯარო რეესტრში მისვლა და ინფორმაციის წერილობით გამოთხოვა მოგიწევთ, რისთვისაც 10 ლარი უნდა გადაიხადოთ. 10 ლარად მხოლოდ სანარმოს მფლობელის, მენილეების, დამფუძნებლების და დაფუძნების თარიღის შესახებ სარეგისტრაციო მონაცემებს გაიგებთ. თუ ყადაღაც და ჯარიმებიც გაინტერესებთ, მაშინ 5 ლარით მეტს გადაიხდით და ამონაწერის განახლებას მოითხოვთ. ერთჯერადი გადახდის შემდეგ ამონაწერი ოფიციალურ ვებგვერდზე (www.napr.gov.ge) მოხვდება და მას ყველა უფასოდ ნახავს.

თუმცა, შესაძლოა, ზოგიერთი მფლობელის შესახებ ინფორმაცია ვერც ერთი ზემოთ აღნიშნული გზით ვერ მიიღოთ.

საქმე ისაა, რომ 2008 წელს სამენარმეო რეესტრის ამონაწერიდან ამოიღეს გრაფა მფლობელების შესახებ. ეს გრაფა 2010 წლიდან აღდგა. შესაბამისად, ამ პერიოდში დარეგისტრირებული კომპანიების სამენარმეო რეესტრის ამონაწერში მფლობელის ვინაობა და მფლობელის ცვლილება მითითებული არ არის. თუ თავად მენარმე არ განა-

ხლებს ამონაწერს, ეს გრაფა – ისევე ცარიელი, ინფორმაცია კი დახურული დარჩება. სახელმწიფო მენარმეს არ ავალდებულებს, ამონაწერი განაახლოს. „თუ ვერ მოვახდენთ მფლობელების იდენტიფიკაციას, ამონაწერი ვერ მომზადდება. ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით, ყველა ამონაწერის მომზადება და ვებგვერდზე გამოქვეყნება ტექნიკურადაც შეუძლებელია და სამართლებრივადაც. მონაცემებს გავცემთ იმ სახით, რა სახითაც გვაქვს. დავწერთ, რომ სუბიექტი რეგისტრირებულია, პირები მასში განსაზღვრული სახით მონაწილეობენ, მაგრამ მათი იდენტიფიცირება ვერ მოხერხდება“, – ამბობს მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის უფროსი კობა ბახტურიძე და თვლის, რომ ეს პრობლემა დროთა განმავლობაში მოგვარდება. ის იმედოვნებს, რომ რეესტრი შეძლებს სრულყოფილი ბაზის ჩამოყალიბებას.

ამ ინფორმაციის გარკვევას „ლიბერალი“ საჯარო რეესტრთან და კანონმდებლებთან დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ცდილობდა. საჯარო რეესტრის შესახებ კანონში ცვლილებას მხარი დაუჭირა 81-მა დეპუტატმა. ზუსტად ვერც მხარდამჭერებმა და ვერც ინიციატორებმა ვერ აგვიხსნეს, როგორ და რა ფასად შეიძლებოდა საჯარო ინფორმაციის მიღება, საჭირო იყო თუ არა ამ ინფორმაციაში 15 ლარის გადახდა.

დეპუტატმა თამაზ პეტრიაშვილმა გვითხრა, რომ ცვლილების შედეგად ინფორმაციაზე გადასახადი დანესდა, რაც დეფიციტური ბიუჯეტის და მომატებული ხარჯების გამო მოხდა. მან ცვლილებას ხმა მისცა რეესტრში სიტუაციის გამოსწორების მიზნით: „წარმოიდგინეთ არასამართლობო ორგანიზაციის თანამშრომელი, ან ჟურნალისტი მიდის რეესტრში და ითხოვს, რომ მოუშალონ

20 ამონაწერი. ამ დროს თანამშრომელი ემსახურება მოსახლეობას. იმ 20 ამონაწერის მომზადებისას ხომ მოშორდება სამუშაო დღეს?! ბევრ დროს დაკარგავს და დანახარჯიც მეტი იქნება“.

გია როინიშვილიც დარწმუნებულია, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერზე საფასური გაიზარდა და ამაში პრობლემას ვერ ხედავს. ის მიიჩნევს, რომ საჯარო რეესტრის სხვა მომსახურებებზე ფასებმა იკლო, რაც სიტუაციას აბალანსებს. „ამონაწერზე დაწესებულმა ფასმა პრობლემა შეიძლება მხოლოდ ჟურნალისტებს შეუქმნას“, – ამბობს როინიშვილი, თუმცა მიიჩნევს, რომ გამოცემებს საკმარისი ფული აქვთ მსგავსი გადასახადების დასაძლევად. ალბათ მაშინ, როცა ხმას აძლევდა, მან არ იცოდა, რომ ამონაწერის განახლების გადასახადი – 15 ლარი, ერთჯერადია და ამის შემდეგ ეს ინფორმაცია ყველასთვის ღიაა.

პარლამენტარ კახა ანჯაფარიძეს, რომელიც საჯარო რეესტრის შესახებ კანონში ცვლილების ერთ-ერთი ინიციატორია, საჯარო ინფორმაციაზე გადასახადის არსებობა უკვირს, – „წვდომა მესამე პირთათვის პრობლემა არ არის. ინფორმაციის მიღება დაუბრკოლებლად ყველას შეუძლია. საფასური საჯარო რეესტრის ამონაწერზე, შესაძლოა, გაზრდილია, თუმცა მხოლოდ მენარმეებისთვის“. მისი განმარტებით, კანონი საჯარო რეესტრიდან ამონაწერის საფასურს, 15 ლარს, მხოლოდ მენარმე სუბიექტებისთვის განსაზღვრავს, რომელთაც საკუთარი კომპანიის განახლებული ამონაწერის წარდგენა ბანკთან თანამშრომლობისას სჭირდებათ. თუმცა, როგორც მოგვიანებით საჯარო რეესტრში აგვიხსნეს, ამონაწერის განახლება მენარმესაც და მოქალაქესაც თანაბრად შეუძლიათ 15 ლარის გადახდის შემდეგ.

კილაძე VS საქართველო

საქმეში „კილაძე საქართველოს წინააღმდეგ“ 2 თებერვალს ევროპის ადამიანის უფლებათა სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ კიდევ ერთი განაჩენი გამოიტანა.

ნინო ბექიშვილი



■ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, სტრასბურგი

დღეს უკვე 80 წელს გადაცილებულ ძმებს კლაუს და იური კილაძეებს საბჭოთა რეჟიმმა 1937 წელს მამა დაუხვრიტა, ხოლო დედა გადაუსახლა, რის შემდეგაც მამის მცირეწლოვანი ძმები რუსეთში, ბავშვთა სახლში მოხვდნენ, საიდანაც ორწლიანი წვლების შემდეგ ისინი ბებიამ წამოიყვანა და გაზარდა. ევროპულ სასამართლოში წარდგენილი საჩივრით კილაძეები, როგორც საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლები, ფულად კომპენსაციას ითხოვდნენ.

ძმები კილაძეები 1998 წლის 19 აგვისტოს საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარა. თუმცა, მათი მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე საქართველოს ეროვნულმა სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირთათვის ფულადი კომპენსაციის გაცემის თაობაზე სპეციალური ნორმატიული აქტის არარსებობს გამო.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში კლაუს და იური კილაძეების ინტერესებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და

ლონდონში მოქმედი ადამიანის უფლებათა მხარდაჭერის ევროპული ცენტრი წარმოადგენდნენ. სასამართლომ საქართველოს ხელისუფლებას კლაუს და იური კილაძეებისთვის ოთხ-ოთხი ათასი ევროს გადახდა დააკისრა და, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, დაადგინა, რომ საბჭოთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლს აქვს ფინანსური კომპენსაციის მიღების უფლება. საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ უნდა შეიმუშავოს შესაბამისი კანონმდებლობა და შემდეგ რეპრესირებულებს და მათ შვილებს ფულადი კომპენსაცია უნდა გადაუხადოს.

საქართველოს ხელისუფლებისთვის უცნობია, სულ რამდენი რეპრესირებული ადამიანი ცხოვრობს ჩვენ ქვეყანაში. როგორც სასამართლოს განჩინებაში წერია, მათი რიცხვი 600-დან 16 ათასამდე მერყეობს.

„რადიო თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში საია-ს თავმჯდომარემ, თამარ ხიდაშელმა განაცხადა, რომ 1997 წელს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“

მიღებით საქართველოს სახელმწიფომ აღიარა, რომ ის საკუთარ თავზე იღებს საბჭოთა რეჟიმის დროს განხორციელებული რეპრესიების პასუხისმგებლობას. „როცა 1997 წელს ეს კანონი მიიღო, თავის თავზე აიღო ვალდებულება – არ უთქვამს, რომ ამაზე პასუხისმგებელი რუსეთის სახელმწიფოა, და მე პასუხისმგებლობას თავიდან ვიმორეობ. მან აიღო ეს თავის თავზე და თქვა, რომ სოციალურ გარანტიებს სთავაზობდა რეპრესიის შედეგად დაზარალებულ ადამიანებს და, გარდა ამისა, ქონებრივი კომპენსაციითაც უზრუნველყოფდა. არ დაგვაინყდეს, რომ საქართველო, ცხადია, იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, მაგრამ პოლიტიკური რეპრესიები ხორციელდებოდა ასევე საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოების მხრიდან. გასაგებია, რომ დირექტივა მოსკოვიდან მოდიოდა – თუმცა, არ მგონია, რომ ყველა შემთხვევაში ასე ყოფილიყო“.

საქართველოს მთავრობის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების ჯეროვან აღსრულებაზე მონიტორინგს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი განახორციელებს.



ახალი ტაბლეტი

რა არის „აიპედი“ და მოგინდება თუ არა მისი ყიდვა? (ალბათ არა)

ნიკო ნერგაძე

კარგა ხანია, არც ერთ ახალ პროდუქტს იმხელა გამოხმაურება არ ჰქონია, როგორც „ეფლის“ „აიპედს“. მსოფლიოში არ დარჩენილა არც ერთი საკუთარი თავის პატივისმცემელი მედია საშუალება, რომელსაც ოდნავი კავშირი მაინც აქვს ტექნოლოგიებთან, „აიპედის“ შესახებ რაზე რომ არ ეთქვა. სოციალური ქსელები ხომ საერთოდ აფეთქდა – რამდენიმე დღე „აიპედის“ ხსენებას უფრო ხშირად შეხვდებოდი, ვიდრე იმას, თუ ვისმა პეტმა იყიდა ახალი ოთახი.

არადა, თითქოს დიდიც არაფერი. მსგავსი ტიპის პორტატული, დაფის ფორმის კომპიუტერი სენსორული ეკრანით, რომელსაც ამერიკაში „ტაბლეტი“ ჰქვია, რუსები კი „ჰლანშეტს“ უწოდებენ, 90-იანი წლებიდან გამოდის. თავად „ეფლსაც“ ჰქონდა ადრე მსგავსი პროდუქტი. „ნიუტონი“ ერქვა. აბა, რა დიდი ამბავია ეს „აიპედი“?

საქმე ისაა, რომ აქამდე ტაბლეტის ტიპის კომპიუტერები მაინცდამაინც არ ვარგოდა. ზოგი ცოტა უკეთესი იყო, ზოგი უარესი, მაგრამ ყველას თავისი ნაკლი ჰქონდა და ეს ფორმატი ფართო საზოგადოებაში პოპულარული არ გამხდარა. სპეციალისტები, მაგალითად ექიმები, ტაბლეტს, დიდი ხანია, იყენებენ. არა იმიტომ, რომ სიტყვას არიან მიჩვეულები (ტაბლეტებს ხომ ექიმი გვინერს ხოლმე), არამედ იმიტომ, რომ სჭირდებათ – ცალი ხელით უჭირავთ, მსუბუქია, ზედ ეკრანზე წერ... რიგითი მომხმარებლები კი ჯერ ვერც ერთმა ასეთმა ხელსაწყომ ვერ მოხიბლა. არადა, ბოლო რამდენიმე წელია, ბევრი სპეციალისტი წინასწარმეტყველებს, სულ მალე დადგება ტაბლეტის ზეობის ხანაო.

ჰოდა, ვინ იკისრებდა ტაბლეტის ტახტზე აყვანის საპატიო მისიას, თუ არა „ეფლი“. კომპანია, რომელმაც მარტომ წასწია წინ MP3 პლეერების ბაზარი და „აიპოდი“ საყველწურო სიტყვად აქცია. კომპანია, რომლის პირველივე მცდელობა მობილური ტელეფონების ბაზარზე ისეთი წარმატებული აღმოჩნდა, რომ მას შემდეგ გამოსულ ყველა სმარტფონს – მოტოროლას „მაილსტონი“ იქნება, თუ ნოკიას N900 – პირველ რიგში „აიფონს“ ადარებენ.

და აი, გამოჩნდა „აიპედიც“, რომელიც „ეფლის“ მთავარმა ქურუმმა, სტივ ჯობსმა წარადგინა როგორც „მაგური და რევოლუციური“ პროდუქტი, რომელიც მსოფლიოს მონაწივე ტექნოლოგიებითა აღსავსე. გაყიდვაში მარტოს ბოლოდან გამოვა. საბაზისო მოდელი 500 დოლარი ეღირება, ყველაზე ძვირიანი კი – 830. ეს ამერიკაში. ჩვენთან ამ ფასებს მინიმუმ 100 დოლარი უნდა მიუმატო. ღირს მაგდენის გადახდა? და საერთოდ, რა ტიპია?

გარეგნულად „აიპედი“ გადიდებულ და დაბრტყელებულ „აიფონს“ ჰგავს. ისე, რატომ მხოლოდ გარეგნულად. შინაგანადაც იგივეა. იმავე ოპერაციულ სისტემას იყენებს და „აიფონისთვის“ შექმნილი 140 ათასი პროგრამის უდიდეს ნაწილს აქაც დააინსტალირებ. ტელეფონის ფუნქციების და GPS-ის გარდა, ყველაფერი იგივეა.

რისთვის შეგიძლია გამოიყენო? შეგიძლია ინტერნეტში შეძქერ, ფილმებს უყურო, ელექტრონული წიგნი წაიკითხო... იდეაში შეგიძლია ტექსტიც აკრიფო, მაგრამ ალბათ მოუხერხებელი იქნება – სენსორულ კლავიატურაზე ბეჭდვა დიდი ვერაფერი სიამოვნებაა. ისე, ეკრანი საუცხოო უნდა ჰქონდეს. ვისაც

უნახავს და ხელით შეხება, ამბობენ, – კოცნა და ჩახუტება გინდება, ულამაზესიაო. ისეთი კარგია, რომ ეს 500 დოლარი იაფიაო.

თუმცა, ყველა მოხიბლული არ დარჩენილა. პირიქით, კომენტატორების დიდი ნაწილი ყურადღებას „აიპედის“ ნაკლოვანებებზე ამახვილებდა. პირველ რიგში, ყურადღებას სულელური სახელი იქცევდა. (Pad ინგლისურად ჰიგიენურ საფენსაც ნიშნავს). სოციალური ქსელის „ტვიტერის“ მომხმარებლებმა „აიპედს“ უმაღ შეარქვეს iTampon. ჩვენთვის „აიპედი“ ცუდ ასოციაციებს არ ინვეს და ისინიც მიეჩვევიან, აბა რას იზამენ. მაგრამ საქმე მხოლოდ სახელში არ არის.

კომენტატორების დიდი ნაწილი ამახვილებდა ყურადღებას, რომ „აიპედს“ არ აქვს კამერა (არც წინ და არც უკან), არ შეუძლია პროგრამების ერთდროულად გაშვება და არ უშვებს Adobe Flash-ს.

ცუდია, მაგრამ აიტანს კაცი. არ არის აუცილებელი, ყველაფერი ფოტოს იღებდეს და „სკაიპის“ ვიდეოზარების გარეშეც გაეძღებო. Adobe Flash-ის არქონა უფრო ცუდია – ის ინტერნეტში ყველგან გამოიყენება – ვიდეოების საყურებლად, სათამაშოდ... თუმცა „იუთუბზე“ ვიდეოებს „აიპედით“ მაინც ნახავ. პროგრამების ერთდროულად გაშვების შესაძლებლობის უქონლობა კიდევ უარესია – არ შეგიძლია, ვთქვათ, თან წიგნი იკითხო და თან მუსიკას უსმინო. მაგრამ „აიფონის“ მფლობელები ამაზე განსაკუთრებით არ ჩივიან ხოლმე.

მთავარი ისაა, რომ ჯერჯერობით არ ჩანს, რამდენად ჩანაცვლებს „აიპედი“ სხვა ხელსაწყოებს, რომლებიც მსგავს ფუნქციებს ასრულებენ. 500 დოლარად კაცს შეუძლია ნეტბუკი (მსუბუქი, ნაკლებად მძლავრი ნოუტბუკი, რომელიც ძირითადად ინტერნეტში საძირომიალოდ გამოიყენება) იყიდოს, რომელსაც „აიპედზე“ მეტი შეუძლია, თუმცა კი უფრო მახინჯია და არც სექსუალური სენსორული ეკრანი აქვს. ან იყიდოს iPad Touch, რომელიც პრინციპში იგივეა, რაც „აიპედი“, ოღონდ – უფრო პატარა და იაფი.

ამბობენ, „აიპედმა“, შესაძლოა, ელექტრონული წიგნების წასაკითხი ხელსაწყოები, Amazon Kindle და Sony Reader შეავინოვოსო. დაფის ფორმატი „აიპედზე“ წიგნის კითხვას იოლს ხდის. თუმცა ამაზონის და სონის პროდუქტებს ერთი დიდი უპირატესობა აქვთ – ისინი ეგრეთ წოდებულ e-ink-ის ტექნოლოგიას იყენებენ. ანუ, ისეთი ეკრანი აქვთ, სადაც ტექსტი ბუნებრივად ჩანს და თვალს არ ღლის.

მოკლედ, ლამაზია „აიპედი“, მაგრამ ძალიან გამოსადეგი ჯერ არ ჩანს. თუმცა, კიდევ ერთხელ, ვისაც ხელში სჭერია, ამბობს, – ისეთი სილამაზეა, რომ დადება არ მოგინდება და ფულსაც სიამოვნებით გადაიხდიო. მარტის ბოლოს გამოჩნდება, ამას რამდენი დაეთანხმება.

ბიზნესი

აღმართები მართები სტრატეგია



თუ ისი და მოქმედებ – მიადევ!

გამონერისთვის დაგვიკავშირდით:
ტელეფონი: (995 32) 22 37 68
ელ-ფოსტა: subscribe@bs-magazine.com



მომხრე

ზაალ ანდრონიკაშვილი

ლიტერატურათმცოდნე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ახალი საგნის შესახებ, რომელსაც თავდაპირველად „სამხედრო-პატრიოტული აღზრდა“ ეწოდა, შემდეგ კი, „სამოქალაქო თავდაცვად და უსაფრთხოებად“ გადაკეთდა, განათლების სამინისტროსგან ბევრი ვერაფერი შევიტყეთ. ამიტომ ამ საგანზე მსჯელობა კვლავინდებურად საქართველოს მთავრობის და მმართველი უმრავლესობის ნევრების განცხადებებიდან გამომდინარე მოგვიწევს. დაუუკვირდეთ ახალი საგნის იმ ელემენტებს, რომელზეც პრეზიდენტმა სააკაშვილმა და მინისტრმა შაშკინმა ისაუბრეს. ამ ელემენტებიდან შეკითხვებს მხოლოდ საგზაო უსაფრთხოების სკოლაში სწავლება არ იწვევს:

სამოქალაქო თავდაცვა: საქართველოს პრეზიდენტი და განათლების მინისტრი გვეუბნებიან, რომ არსებული საფრთხეების გამო, აუცილებელია, საქართველოს მოსახლეობამ, ისრაელის მოსახლეობის მსგავსად იცოდეს, როგორ მოიქცეს დაბომბვების დროს. თუკი, საქართველო მართლაც ის ქვეყანაა, რომელსაც გაზუმდებით ემუქრება იმის საფრთხე, მაშინ გაუგებარია, რატომ უნდა ისწავლებოდეს სამოქალაქო თავდაცვა მხოლოდ სკოლაში (ისრაელის სკოლებში კი, რამდენადაც ვიცი, სამოქალაქო თავდაცვა საერთოდ არ ისწავლება); და გაუგებარია, რატომ არ უნდა იქმნებოდეს სამოქალაქო თავდაცვის ცენტრები მთელ ქვეყანაში, რომელიც მოსწავლეების გარდა, საქართველოს მთელ მოსახლეობას, ასწავლიდა, როგორ დაიცვას თავი საომარ ვითარებაში.

ქართული ჯარის ისტორია: მინისტრმა შაშკინმა გადაცემაში „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ (21.01.2010) თქვა, რომ საგანი „სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება“ გულისხმობს ქართული ჯარის ისტორიის შესწავლას და რომ მთელი ეს კომპლექსი საშუალებას გვაძლევს, „ვიმუშაოთ სამხედრო-პატრიოტულ საკითხებზე სკოლებში“. მინისტრის სიტყვებიდან ჩანს, რომ სამხედრო პატრიოტიზმი მხოლოდ ახალი საგნის სათაურიდან გაქრა და არა მისი შინაარსიდან. თუმცა მინისტრ შაშკინს არ დაუსაბუთებია, რატომ არის საჭირო ქართული ჯარის ისტორიის შესწავლა საქართველოს ისტორიისაგან დამოუკიდებლად. დასაბუთება მინისტრმა შაშკინმა ჩანაცვლა მოსაზრებით, თითქოს „ეს კეთდება იმისათვის, რომ ბავშვმა იგრძნოს თავი უფრო უსაფრთხოდ, რომ ბავშვს არ შეექმნას პრობლემები“. მინისტრი შაშკინის მოსაზრებები ვერანაირად ვერ ხდის უფრო გასაგებს ვერც ქართული ჯარის ისტორიის სწავლების აუცილებლობას, ვერც იმას, როგორ იგრძნობს ბავშვი თავს უსაფრთხოდ, თუ ქართული ჯარის ისტორიას ისწავლის. არგუმენტების უქონლობა კი გვაფიქრებინებს, რომ ან მინისტრს თვითონ არ აქვს კარგად გაცნობიერებული, რა საგანი უნდა დანერგონ სკოლებში, ან არ სურს იმაზე საუბარი, რომ ეს საგანი სინამდვილეში არა პრაქტიკულ ანდა საგანმანათლებლო, არამედ იდეოლოგიურ მიზნებს ემსახურება.

ქართული არმიის შეიარაღების მიმოხილვა: რაში უნდა სჭირდებოდეს სკოლის მოსწავლეს იმის ცოდნა, რა შეიარაღება აქვს ქართულ ჯარს? საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შეიძლება ჰქონდეს რეკრუტირების ცენტრები, სადაც ქართული არმია ახალგაზრდების დაინტერესებას და მოზიდვას უნდა ცდილობდეს, მაგრამ დაუშვებელია სკოლის ამგვარ რეკრუტირების ცენტრად გადაქცევა. ჯარის და ჯარისკაცობის პროპაგანდა სკოლაში კი მის მილიტარიზაციას ნიშნავს და სხვა არაფერს.


რა მიზანს ემსახურება „სამხედრო-პატრიოტული აღზრდა“ სკოლაში? პრეზიდენტი ამის აუცილებლობას ქვეყნის წინაშე მდგომი გამოწვევებით ასაბუთებს. ექვს არ იწვევს პრეზიდენტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „საქართველოს სჭირდება თავისი თავის დაცვა“, მაგრამ „სამხედრო-პატრიოტული აღზრდა“ ქვეყნის თავდაცვის და უსაფრ-



შეიძლება თუ არა, რომ ბავშვთა სკოლაში იდეოლოგიის

თხობის გამოწვევებზე აშკარად არაადეკვატური პასუხია. ვერც პრეზიდენტმა და ვერც განათლების მინისტრმა ვერ შეძლეს იმის დასაბუთება, თუ რა საჭიროა სკოლებში სამხედრო-პატრიოტული სწავლება ვერც განათლების და ვერც თავდაცვის ამოცანებიდან გამომდინარე. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ინიციატივას სხვა, იდეოლოგიური საფუძვლები აქვს.

აღზრდა ბავშვებში და მოზარდებში სასურველი ქცევების, ფასეულობების და ნორმების მიზანმიმართულ დანერგვას ნიშნავს. თანამედროვე აღზრდა გულისხმობს პასუხისმგებელი, დამოუკიდებლად მოქმედი და მოაზროვნე, ემანსიპირებული ინდივიდის, მოქალაქის ჩამოყალიბებას. ასეთ მოქალაქეს შესწევს იმისი უნარი, სხვისი კარნახის გარეშე, გადანყვიტოს, რაში მდგომარეობს მისი ქვეყნის ინტერესები, რომელ პარტიას მისცეს ხმა არჩევნებზე, სამხედრო-პატრიოტი იყოს თუ პაციფისტი. სამხედრო-პატრიოტული აღზრდა – როგორც საკვლევებელი სასკოლო საგანი ან საგანთა ერთობლიობა – არა მართო სკოლის მილიტარიზაციას ნიშნავს, არამედ მის იდეოლოგიზაციას – მოსწავლეებისათვის გარკვეული მსოფლმხედველობის თავზე მოხვევას. ჩემი ვარაუდით, ეს მსოფლმხედველობა „ნაციონალური მოძრაობის“ ერთი ფრთის ახალი იდეოლოგიაა, რომელიც ძლიერ სახელმწიფოს არა ძლიერ დემოკრატიულ ინსტიტუტებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან, არამედ ძლიერ ჯართან და პოლიციასთან აიგივებს. ეს იდეოლოგია პირველ რიგში მოზარდების და ახალგაზრდებისკენაა მიმართული. მისი საბოლოო მიზანი არა მოქალაქეების, არამედ მილიტანტი პატრიოტების აღზრდაა. რეზერვის სისტემა და პატრიოტთა ბანაკები ამ იდეოლოგიისათვის, როგორც ჩანს, საკმარისი ასპარეზი არ აღმოჩნდა, ამიტომაც, სკოლაში უნდა მიიღოს საყოველთაო და საკვლევებელი ფორმა. ■



ილუსტრაცია: თათია ნაფთაძე/ფოტო: სპეციალური

სამოქალაქო თავდაცვის პოლიტიკური ბაზისი?



მონინალმდევე
დავით დარჩიაშვილი
საპარლამენტო უმრავლესობის წევრი

სამხედრო-პატრიოტიზმის იდეამ საბოლოოდ მრავალფეროვანი და კომპლექსური სახე მიიღო, თუმცა ძირეული ამოცანა ასეთი დარჩა – საგანმა ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოებრივი და მოქალაქეობრივი ცნობიერების გაძლიერებას. ამის გაკეთება საჭიროა სასკოლო მერხიდანვე. დამწყებ კლასებში თუკი საგზაო უსაფრთხოებას ასწავლიან, მერე შეიძლება პირველი დახმარების ჩვენების და ასევე სახელმწიფოსა და სამხედრო კომპონენტის შესახებ განათლების მიცემა. ეს აპრიორი არ გულისხმობს იმას, რომ სკოლებში შეიტანენ იარაღს და იქნება მარშირება, რომ მოსწავლეებს აუცილებლად საბჭოური ყაიდის სამხედრო პედაგოგები ეყოლებათ. თუმცა, თუკი მაღალ კლასებში იქნება სამხედრო ტექნიკასთან შეხების სურვილი, ესეც ბუნებრივია, რომ უნდა დაკმაყოფილდეს. სადაც არსებობს სახელმწიფო, იქ არსებობს მისი სამხედრო კომპონენტიც და ამის ცოდნა მნიშვნელოვანია.

მაგრამ თუ ადამიანს არ უნდა იარაღთან შეხება, ბუნებრივია, ასეთი მრწამსიც პატივსაცემია და მისთვის ეს უნდა იყოს ნებაყოფლობითი.

არც ერთი სახელმწიფო არ აშენებულა პატრიოტიზმის სწავლების, პატრიოტიზმზე აქცენტების გარეშე. ბევრი

ქვეყანა, რომელიც ახლა დემოკრატიულია, რომელიც უსაფრთხოების თვალსაზრისით ჩვენზე წინ არის წასული, სწორედ ასეთი ნაბიჯებით აღწევდა იმას, რასაც მიაღწია.

არიან ქვეყნები, რომლებიც ყოფნა-არ ყოფნის ზღვარზე დგანან. ასეთი დრო ნამდვილად არ უდგას ირლანდიას ან ავსტრიას. მაგრამ თვალნათლივ გვიდგას ჩვენ, ისევე როგორც ედგა ფინეთს, რომელიც საბჭოთა კავშირს უპირისპირდებოდა. მაშინ ფინეთშიც საყოველთაო თავდაცვისათვის საზოგადოების მომზადება იყო მათი საზოგადოებრივი და საკანონმდებლო სისტემის ძალიან სერიოზული ნაწილი.

ჩვენ შემთხვევაში თვალნათელია რუსეთის მხრიდან ჩვენი არალიარების აშკარა ნიშნები და ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური არსებობის შეფერხების და შეწყვეტის ნიშნებიც სახეზეა. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია დემოკრატიული ინსტიტუტების გამაგრება, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტების გაძლიერებაც. თუ ვილაცისთვის სამხედრო ფორმაა მიუღებელი, და ვილაცისთვის სახელმწიფო სამსახურში ყოფნაა შეზღუდვა, ზოგადსაკაცობრიო იდეალების დონეზე ჩემთვის ესეც გასაგებია. ადამიანის თავისუფლება გარდაუვლად იზღუდება, როცა სახელმწიფოსთან შეხება ხდება. მაგრამ უნდა გავაცნობიეროთ, რატომ გვინდა სახელმწიფო და, თუ გვინდა, მაშინ კეთილი ვინებოთ და სამხედრო სპეციალური სამსახურების არსებობის მნიშვნელობაც გავიაზროთ.

ლაპარაკი არ არის იმაზე, რომ რომელიმე პოლიტიკურ პარტიას უნდა დაუჭირო მხარი. ეს არ არის არც კერძო ვინაობა პარტიული ჯგუფური ინტერესების პროპაგანდირება. წინა პლანზე მოდის საერთო საქმე, საერთო სახელმწიფოს მშენებლობა და პასუხისმგებლობა, რომელიც უნდა ეკისრებოდეს თითოეულ მოქალაქეს. რაც გინდათ უნოდეთ ამას, მაგრამ ფაქტია, რომ სკოლაში ამ ელემენტების სწავლება აუცილებელია.

ეს არის სახელმწიფოს არსისა და ინტერესების გაზიარება.

ფიქრობ, რომ ბავშვებისათვის გასაგები უნდა იყოს, რა ნიშნებიდან მოვლივართ, რატომ გადავწყვიტეთ, რომ ვიყოთ დამოუკიდებლები და ვის სურს, რომ ჩვენ არ ვიყოთ დამოუკიდებლები და რატომ. ამის განხილვა და ამაზე საუბარი, სათანადო ლექსიკით, სკოლებშიც უნდა იყოს.

მგონია, რომ მოცემულ მომენტში ქვეყნის გადარჩენისათვის არის საჭირო იმის ახსნა, თუ რა არის ცუდი, რა არის კარგი და საიდან არის საფრთხე. თუკი დემოკრატიული ქვეყნები ოფიციალურად იღებენ ხოლმე უსაფრთხოების კონცეფციებს, ვისგან ემუქრებათ საფრთხე, რატომ არ უნდა იყოს ამაზე საუბარი იმ კლასებში, სადაც ამის გაგების უნარი აქვთ ახალგაზრდებს.

ცხადია, ისტორია არ უნდა დამახინჯდეს და საჭიროა მონიტორინგიც, რომ რომელიმე სკოლაში ამან ქსენოფობიური სახე არ მიიღოს. თუმცა, ფიქრობ, რომ აუცილებელია, მოსწავლეებს დღეს არსებულ საფრთხეებზე, მათ მიზეზებსა და ფესვებზე ვესაუბროთ. **■**



ფოტო სერგი სტაროსტანოვი

პოლიტიკა

ტიმოშენკო დამარცხდა. იანუკოვიჩის ჯერ არ გაუმარჯვია

წინასწარი მონაცემებით, უკრაინის ახალი პრეზიდენტი არჩეულია.

მოსახლეობის უმეტესობამ ხმა „ნარინჯისფერი რევოლუციის“ ანტიგმირს – ვიქტორ იანუკოვიჩს მისცა.

ანასტასია ობრაზცოვა



რი თავი გამარჯვებულად გამოაცხადა და სამადლობლო ვიდეო-მიმართვა ცკი ჩანერა უკრაინელი ხალხის მიმართ, როცა ორჯერ მილო ვლადიმირ პუტინის მილოცვა და როცა არ დაიჯერა, რომ მაიდანზე იდგა ასობით ადამიანი ნარინჯისფერი დროშებით, რომლებსაც მისი პრეზიდენტობა არ უნდოდათ.

იანუკოვიჩი წინასწარი შედეგებით კი იგებს, მაგარამ ეს არ ნიშნავს საბოლოო გამარჯვებას. ტიმოშენკომ ფაქტობრივად შეუძლებელი შეძლო: იმის ნაცვლად, რომ ლიდერებს შორის მეორე ტურში სხვაობა გაზრდილიყო, როგორც ამას სოციოლოგები წინასწარმეტყველებდნენ, ტიმოშენკომ მისი შემცირება მოახერხა, თანაც ორჯერ! იანუკოვიჩის ჯერ არ გაუმარჯვია – რადგან მხოლოდ 3 და თუნდაც 6 პროცენტით ჩამორჩენა ჯერ კიდევ იმედის მომცემი სხვაობაა. „ვიდრე არ დაითვლება უკანასკნელი ოქმი, რაიმე შედეგზე საუბარი შეუძლებელია. ჩვენ ვიბრძოლებთ თითოეული ხმისთვის“, – განაცხადა იულია ტიმოშენკომ. მისი მარჯვენა ხელი, ალექსანდრ ტურჩინოვი ადასტურებს ინფორმაციას, რომ ტიმოშენკოს ბლოკის იურისტები მთელი რიგი საარჩევნო უბნების შედეგებს გაასაჩივრებენ. საბაბები – მცირედი, მაგრამ მაინც არსებობს: ტიმოშენკოსა და იანუკოვიჩის მხარდამჭერები მათ მთელი დღის განმავლობაში ითვლიდნენ.

• • •

„იანუკოვიჩი – კრიმინალი და უზრდელი!“

„ტიმოშენკო – ავანტიურისტი და ცრუპენტელა!“

„იანუკოვიჩის დროს კრიმინალური გაგების კანონებით ვიცხოვრებთ!“

„ტიმოშენკოს დროს საერთოდ არ იქნება არანაირი კანონი, მხოლოდ ხელით მართვა!“

„პრეზიდენტი იანუკოვიჩი – ქვეყნის სირცხვილია!“

„პრეზიდენტი ტიმოშენკო – უკრაინული ეკონომიკის დაღუპვაა!“

ამგვარი კომენტარებითაა აჭრელეული უკრაინული და მისი მეზობელი ქვეყნების ფორუმები და ბლოგები. ქუჩური დისკუსიებისას ვიქტორ იანუკოვიჩისა და იულია ტიმოშენკოს მომხრეები სულაც უცენზურობაში გადაიჭრებიან ხოლმე. როდესაც კამათი ჩიხში შედის, გაისმის უკანასკნელი, მომაკვდინებელი არგუმენტი:

„ჩემი კანდიდატი უკეთესია! რითია უკეთესი?! შენსას მაინც ჯობია!“

ის ამომრჩევლები, რომლებმაც პირველ ტურში „მესამე ძალისთვის“ ხმის მიცემა ამჯობინეს ან საერთოდ იგნორირება გაუკეთეს არჩევნებს, უხმოდ განზე იყვნენ გამდგარები – ისინი ყველაზე რთული არჩევანის წინაშე დადგნენ, მათ „ნაკლები ბოროტება“ უნდა ამოეცნოთ და მას მიმხრობოდნენ. არადა, როგორ გინდა მიემხრო ვინმეს, როდესაც „ერთი კანდიდატისთვის ხმის მიცემა საშიშია, მეორესთვის კი – სამარცხვინო?“ ეს ხუმრობაა. ხუმრობა, რომელსაც მეორე ტურის წინ ძალიან ხშირად იმეორებდნენ ამომრჩევლები.

პირველი ტურის შემდეგ იმაზე, თუ რა ელის უკრაინას ორი კანდიდატიდან ერთ-ერთის გამარჯვების შემთხვევაში, აღარავინ ფიქრობდა. ეს თავად პრეზიდენტის პოსტის პრეტენდენტებსაც ეხებათ. ბოლო რამდენიმე კვირა ისინი უკვე დაპირებებსაც აღარ იძლეოდნენ, მხოლოდ ურთიერთკრიტიკით იყვნენ დაკავებული. თანაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ვიქტორ იანუკოვიჩს, რომელმაც პირველ ტურში იულია ტიმოშენკოზე 10%-ით მეტი ხმა დააგროვა, ბოლო დროს უკვე კრიტიკაც ეზარებოდა. რა საჭიროა? ყველა სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით, მას გამარჯვება განადღებული ჰქონდა. „რეგიონების პარტიის“ ლიდერი ტიმოშენკოსთან წინასაარჩევნო ტელედებატზეც კი არ მივიდა და გამოვიდა, რომ მთელი საერთო დრო კონკურენტს დაუთმო.

მეორე მხრივ, თუკი არჩევნების შედეგები წინასწარ ასეთი ნათელი იყო, რატომ აკრავდნენ „რეგიონალები“ მოედნებზე პლაკატებს, რატომ ათავისუფლებდნენ თანამდებობიდან შინაგან საქმეთა მინისტრს და საარჩევნო კანონში რისთვის ითხოვდნენ შესწორებას, რომელიც საარჩევნო კომისიებს კვორუმის გარეშე მუშაობის უფლებას მისცემდა?

საარჩევნო კომისიები უკრაინაში პარიტეტულ საფუძველზე ყალიბდება: ადგილების ნახევარი რეგიონების პარტიის წარმომადგენლობით ივსება, ნახევარი – „იულია ტიმოშენკოს ბლოკის“ წარმომადგენლებით. თუკი წინათ ნებისმიერი გადაწყვეტილება ხმების ორი მესამედით მიიღებოდა, ცვლილებების მიხედვით, ორიც საკმარისია – საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის და მდივნის, რომლე-

ეგზიტ პოლების მონაცემებით, იულია ტიმოშენკო საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა. „რეგიონების პარტიის“ ლიდერის შტაბში უკვე გამარჯვებას ზეიმობენ და პრემიერ-მინისტრს ურჩევენ, რაც შეიძლება მალე თავად დატოვოს თანამდებობა. ზეიმობს ყველა ვიქტორ იანუკოვიჩის გარდა, რომელიც ჟურნალისტებს არ ხვდება, ვიდრე ცენტრალური საარჩევნო კომისია ოფიციალურ შედეგებს არ გამოაქვეყნებს. და სწორადაც იქცევა. მის ბიოგრაფიაში უკვე არის ერთი ფალსტატი, როცა მან საკუთა-

ბიც თავის ხელმოწერებსა და ბეჭედს დასვავენ. მეტიც, ამ კომისიიდან ნებისმიერი წევრის გარიცხვა შეიძლება, მაგალითად – სხდომაზე დაგვიანებისთვის.

ცვლილებების მიზანი ნათელია – ვიქტორ იანუკოვიჩი დარწმუნებულია, რომ ტიმოშენკო არჩევნების ჩაშლას გეგმავდა, მან კი ხელი შეუშალა: „ტიმოშენკოს ფრაქცია ყველანაირად ცდილობდა, დაებლოკა რადას მუშაობა და ამ კანონის მიღების საშუალება არ მიეცა. ისინი არჩევნების ჩაშლის მექანიზმს ამზადებდნენ – საარჩევნო უბნები და საოლქო კომისიები ტიმოშენკოს ბლოკის კვოტით შერჩეულ კომისიის წევრებს უნდა დაეტოვებინათ, რომ კვორუმი არ შემდგარიყო. ეს ნიშნავს, რომ კომისიები ვეღარ იმუშავებდნენ“.

ერთი შეხედვით, რეგიონების პარტიის ლიდერის სიფრთხილე სრულიად ლოგიკურია. მაგრამ 2004 წლის ფალსიფიკაციებს თუ გავიხსენებთ, დასაიმედებელი ბევრი მაინც არაფერია. სად არის გარანტია, რომ სწორედ ის თავმჯდომარე და მდივანი არ ცდუნდებიან და თავიანი კანდიდატს ორსამ პროცენტს არ ნაუმატებენ, ქვეყნის აღმოსავლეთში – იანუკოვიჩს, დასავლეთში კი – ტიმოშენკოს?

იულია ტიმოშენკოს „რეგიონების პარტიის“ მიერ მოთხოვნილ ცვლილებებზე



იულია ტიმოშენკო: „ღმერთს შევბოვ, დალოცოს უკრაინა“. სოფლის მოედანი, კიევი, 5 თებერვალი 2010

ბებზე მყისიერი რეაქცია ჰქონდა – უცხოელ დიპლომატებთან დაიჩვილა და მასობრივი საპროტესტო აქციებით დაიშურა, იმ შემთხვევაში, თუკი იუმჩენკო შესწორებებს ხელს მოაწერდა: „საპრეზიდენტო არჩევნებამდე სამი დღით ადრე კანონში შევიდა ცვლილებები, რომლებიც სრულიად ანადგურებს არჩევნებს, ყალბ, უკონტროლო და არაკეთილსინდისიერ პროცესად აქცევს მას. ეს იმიტომ გაკეთდა, რომ იანუკოვიჩს საკუთარი წარმატების არ

სჯერა, და ფალსიფიკაციის ხარჯზე სურს შედეგის მიღწევა... დაზუსტებით ვამბობ, თუკი ეს კანონი ძალაში შევა... ჩვენ ხალხს გამოვიყვანთ“.

საერთაშორისო რეაქციამაც დიდხანს არ დააყოვნა. უკვე 4 თებერვალს ევროპარლამენტის საერთაშორისო საკითხების კომიტეტის რამდენიმე წევრმა ევროკავშირის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელს ბარონესა კეტრინ ეშტონს მოუწოდა, ოფიციალური რეაგირება მოეხდინა უკრაინის საპრეზიდენტო საარჩევნო კანონში შეტანილ ცვლილებებზე. „ორ საარჩევნო ტურს შორის საარჩევნო კანონის შეცვლის გადაწყვეტილება სერიოზულ შემფოთებას იწვევს ამ არჩევნებში სავარაუდო დარღვევებთან და ხმების გაყალბებასთან დაკავშირებით, რაც შესაძლოა საბოლოო შედეგზე აისახოს“, – ნათქვამია განცხადებაში. კანონისთვის ვეტოს დადების მოთხოვნით გამოვიდა მონიტორინგის კომიტეტის ყოფილი მომხსენებელი ხანე სევერინსენიცი. მაგრამ ვიქტორ იუმჩენკომ ყურად არ იღო ევროპელი პოლიტიკოსების თხოვნა და საბუთს ხელი მაინც მოაწერა. სავარაუდოდ, გათვლა ასეთი იყო: თუკი არჩევნების ბედი ისევ სასამართლოებში გადაწყდება, მოქმედი პრეზიდენტი, დიდი ხნით ვერა, მაგრამ გარკვეული დროით მაინც გაიხანგრძლივებს ხელისუფლებაში ყოფნას.

არჩევნები რომ რვა თებერვალს არ დასრულდებოდა, ამას ბევრი ექსპერტი წინასწარმეტყველებდა. მათი აზრები მხოლოდ ერთ საკითხში იყო-

არჩევნები ქართული დამკვირვებლების გარეშე

მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურზე საქართველო დამკვირვებლები აღარ გაგზავნა. „პრეზიდენტი წარმატებას უსურვებს უკრაინელ ხალხს ახალი ხელისუფლების არჩევის გზაზე და განმარტავს, რომ საქართველოს პოზიცია, არ ჩაერიოს ამ პროცესში. ჩვენ ამოცანას არ წარმოადგენს რომელიმე კანდიდატის მხარდაჭერა. ჩვენი მხრიდან სრული ნეიტრალიტეტი იქნება დაცული“, – ნათქვამია სააკაშვილის ოფიციალურ განცხადებაში. პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა ამ გადაწყვეტი-

ლების მიზეზად საკითხის გარშემო არსებული „აზრთა სხვადასხვაობა“ დაასახელა. საქართველომ უკრაინის ცესკოსგან არჩევნების პირველ ტურზე დასასწრებად აკრედიტაცია 2000-ზე მეტი დამკვირვებლისთვის მოითხოვა. „რეგიონების პარტიის“ გადაწყვეტილებით, დამკვირვებლებს საჭირო დოკუმენტაცია არ გაუფორმეს. ვიქტორ იანუკოვიჩის პარტიის ცნობით, ქართველ დამკვირვებლებს არჩევნების ჩაშლა ჰქონდათ გამიზნული. პრეზიდენტმა ყველა ქართველ დამკვირვებელს თავშეკავებისკენ მოუწოდა: „მოვუწოდე-

ბთ საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც უკრაინაში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ არიან მინვეულები და აკვირდებიან არჩევნებს, დაბრუნდნენ სამშობლოში“. პრეზიდენტის ამ განცხადების მიუხედავად, უკრაინის პრეზიდენტის არჩევნებს საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებიც დამკვირვებლად საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით მუშაობდნენ, მაინც დაესწრნენ. არჩევნების მეორე ტურზე დასასწრებად საქართველოდან 400 დამკვირვებლის გაგზავნა იგეგმებოდა.

ფოდა – „მაიდან 2“ იქნებოდა ეს თუ განწვლილი სასამართლო ომი. როდესაც საარჩევნო კანონს არჩევნების პირველსა და მეორე ტურებს შორის ცვლიდნენ, შეუძლებელია, პოლიტიკოსებს არ გაეთვითცნობიერებინათ, რომ გამოცდილი იურისტები მასში მრავალ უზუსტობას, არაერთმნიშვნელოვნებასა და უბრალოდ თეთრ ლაქებს აღმოაჩენდნენ. სხვა საქმეა, რამდენად მოახერხებს წაგებული კანდიდატი სასამართლოში მასობრივი ფალსიფიკაციის ფაქტების დამტკიცებას.

„რეგიონალებმა“ არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყეს საზოგადოების დარწმუნება, თითქოს სასამართლოები ტიმოშენკოს სასარგებლოდ იყო ანგაჟირებული. ტიმოშენკოს მომხრეები კი, თავის მხრივ, ყველას ახსენებენ, რომ ისინი უმცირესობაში არიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რომლის განაჩენის გასაჩივრება სასამართლოში, მართალია, შესაძლებელია, თუმცა

■ არჩევნები რომ რვა თებერვალს არ დასრულდებოდა, ამას ბევრი ექსპერტი წინასწარმეტყველებდა. მათი აზრები მხოლოდ ერთ საკითხში იყოფოდა – „მაიდან 2“ იქნებოდა ეს თუ განწვლილი სასამართლო ომი.

უმალლესი ინსტანცია უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო გახლავთ, რომელიც ქალბატონი ტიმოშენკოსადმი სიყვარულით არ გამოირჩევა. ანუ სასამართლო ომი ძალიან გრძელი და მომქანცველი იქნება. მაიდან 2 კი ძალიან ძვირი სიამოვნებაა. ასე რომ, გამორიცხული არ არის, ბრძოლა ორ ფრონტზე ერთდროულად გაჩაღდეს.

წაგების შემთხვევაში, ვიქტორ იანუკოვიჩი უბრალოდ გაქრებოდა პოლიტიკური ორბიტიდან. თუნდაც იმიტომ, რომ მას მალე 60 წელი შეუსრულდება. გარდა ამისა, ორჯერ დამარცხებული ლიდერის დაფინანსებას არავითარი აზრი არ აქვს – ჯობს, ფსონი ახალ ლიდერზე დაიდოს. ქვეყნის უმსხვილესმა ბიზნესმენებმა, რომლებიც რეგიონების პარტიის წევრები არიან ან უბრალოდ ესიმპათიურებათ ეს პარტია, უკვე ისედაც დაკარგეს თითქმის ხუთი წელიწადი – ძნელია, ოპოზიციაში ყოფნით გაამრავლო კაპიტალი.

იულია ტიმოშენკო 49 წლისაა და ეს არჩევნები მისთვის საბოლოო არ გახდება. წაგების შემთხვევაშიც, ის მაშინვე არ გაუჩინარდება.

მოქმედი პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გაშვება მხოლოდ უზენაეს რადას შეუძლია, რომელმაც მთავრობის მეთაურის ნასვლის შემდეგ კიდევ ახალი კოალიცია უნდა შექმნას. ჯერჯერობით რადაში მხარდამჭერები ტიმოშენკოს მეტი ჰყავს, ვიდრე იანუკოვიჩს, მაგრამ უკრაინა რის უკრაინა იქნებოდა, პარლამენტი ფხიზლად რომ არ ჰყავდეს. რაიმე ცუდი

წინათგრძნობა თუ გაუჩნდათ, დეპუტატები იმის ძალასაც მონახავენ, რომ გუშინდელი მტერი შეიყვარონ და მის ბანაკში გადაინაცვლონ.

არჩევნების მეორე ტურის წინ გამართულ პარლამენტის სხდომაზე გამოიკვეთა, რომ საარჩევნო კანონში გახმაურებული შესწორებების შეტანას ხმების საკმარისი რაოდენობა არ დაუგროვებოდა, „რეგიონალებს“ კომუნისტები და „ნაშა უკრაინა“ რომ არ დახმარებოდნენ.

თუკი ახლად არჩეული პრეზიდენტი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს გამოაცხადებს, ლიტვინის ბლოკის წარმომადგენლებსა და „ნაშა უკრაინას“ დიდ ნაწილს შეუძლიათ დაემშვიდობონ საკუთარ მანდატებსა და შესაბამისად კეთილდღეობასაც. არც კომუნისტებს აქვთ დიდი შანსები. ამიტომ, რადას დეპუტატთა უმრავლესობა მოქმედ პრეზიდენტს პირველ ხანებში არაფერში შეეწინააღმდეგება. გამოდის, რომ იულია ტიმოშენკოს პრაქტიკულად არ გააჩნია შანსი დარჩეს პრემიერად პრეზიდენტ იანუკოვიჩის დროს. ესე იგი – კვლავ ოპოზიციაში.

ისე კი, ვინც უნდა გამხდარიყო პრეზიდენტი, ეს ქვეყანას სტაბილურობას არ მოუტანდა. წინ ახალი საპარლამენტო უმრავლესობის ჩამოყალიბებაა (ან ვადამდელი არჩევნები) და მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობისთვის კენჭისყრა; რის შემდეგაც, შესაძლოა, ველოდოთ კონსტიტუციის ახლიდან გადაწერას – ქვეყნის მეთაურის უფლებამოსილების გაზრდის მიზნით. ამ საკონსტიტუციო ცვლილებების გარეშე, სინყნარე პრეზიდენტს მხოლოდ ძილში თუ მოელანდება. ყველას კარგად ახსოვს 2006 წელი, როდესაც, „ნარინჯისფერი კოალიციის“ ნაცვლად, პარლამენტში გაჩნდა „თეთრ-ცისფერი“ უმრავლესობა, და უფლებებზე ზღუდული პრეზიდენტი იუშჩენკო იძულებული გახდა, პრემიერის პოსტზე ვიქტორ იანუკოვიჩის კანდიდატურა წაეყენებინა.

უახლოესი ნახევარი წლის განმავლობაში, რასაც ნამდვილად ვერ მოახერხებს ქვეყნის ახლად არჩეული მეთაური, ხალხისთვის მიცემული დაპირებების ასრულებაა. თუმცა უკრაინელები ამას პრეზიდენტობის ამ კანდიდატებისგან აღარც ელოდნენ. მთავარია, სწორად ამოეცნოთ მათ შორის რომელი იყო „ნაკლები ბოროტება“.



■ იანუკოვიჩის მხარდამჭერები, 7 თებერვალი 2010

ფოტო: სტანისლავ ნაჩ



ილუსტრაცია: სიმონ აბოშანიძე / მხედრის სახელოსნო

თვითმმართველობის არჩევნები 2010

„ჩრდილოვანი“ კანდიდატები

გამარჯვების მისაღწევად ირაკლი ალასანიამ მერყევი ამომრჩევლის გადაბირება უნდა შეძლოს. ამ ხმებს კი მას ხელისუფლებასთან ერთად რამდენიმე „ჩრდილოვანი“ კანდიდატიც ეცილება.

მაია ნიკლაური

თბილისის მერობის ერთ-ერთ ოპოზიციურ კანდიდატს დავით იაკობიძეს ხშირად უწევს იმის განმარტება, თუ რატომ აპირებს არჩევნებში მონაწილეობას. მისი პასუხი ასეთია: „ახლა თბილისს რომ ვუყურებ, ისეთივე ქაოტურ სიტუაციაშია, როგორშიც ფინანსთა სამინისტრო იყო ჩემი მინისტრობის პირველ დღეებში. მაშინ წარმატებით განვახორციელე ის რეფორმები, რაც საჭირო იყო. ახლაც, ვფიქრობ, იმავეს გაკეთებას შევძლებ“.

თბილისის ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ბოლოს 1993-1997 წლებში საქართველოს ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე მუშაობდა.

მისი კანდიდატურა თბილისის მერის არჩევნებში 2009 წლის ნოემბერში „საქართველოს დემოკრატიულმა პარტიამ“ წარადგინა. პარტიის ხელმძღვანელია საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი გია თორთლაძე.

იაკობიძე „საქართველოს დემოკრატიული პარტიის“ და მისი ლიდერის პოზიციას სრულად იზიარებს. ის ამბობს, რომ მისი გუნდი მმართველ პარტიასთან კონსტრუქციულად თანამშრომლობს. „ძნელია, ვიპოვოთ საკითხები ხელისუფლებასთან ოპონირებისთვის მაშინ, როდესაც ზოგი ამბობს, თითქოს

საქართველომ დაიწყო ომი. ჩვენი კონსტრუქტივიზმიდან გამომდინარე, ჩემთვის გაუგონარია, ვთქვათ, რომ ჩვენ დავიწყეთ ომი. ასეც რომ იყოს, არ მიმაჩნია, რომ ეს უნდა ვთქვათ“, – ამბობს იაკობიძე. მისი თქმით, მათი ოპოზიციური პარტიის მთავარი მიზანი, ხელისუფლებასთან დაპირისპირება კი არა, „ქვეყნის აღმშენებლობისთვის“ ბრძოლაა.

ყოფილი ფინანსთა მინისტრი ქალაქის მთავარ პრობლემებად მისი იერსახის დაკარგვას და ბიუჯეტის „გაუაზრებელ“ ხარჯვას მიიჩნევს. „სუფთა ჰაერი გვინდა, მტკვარი სუფთა უნდა იყოს, სასმელი წყალი კარგი უნდა გვქონდეს. უფრო უნდა დავმშენებდეთ. მერე ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ პრობლემებს მოვაგვარებთ“, – ამბობს იაკობიძე. იგი თვლის, რომ სოციალური პრობლემების მოგვარება ქალაქის მერის საქმე არ არის და გიგი უგულავას აკრიტიკებს პენსიების 10 ლარით მომატების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გამო.

იაკობიძე მერობის სხვა კანდიდატებს არ ეჯიბრება. ერთი მხრივ, ის ამბობს, რომ „მთავარი არჩევნებში გამარჯვება არ არის“, მეორე მხრივ კი, ამატებს: „ჩემთვის მნიშვნელოვანია არჩევნებში მაქსიმალური ხმების მოპოვება“. გადანყევტილი აქვს, რომ თუ დამარცხდა, პოლიტიკაში აღარ დარჩება და

სტუდენტებთან მუშაობას გააგრძელებს.

არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში, პოლიტიკაში დარჩენას არ აპირებს არც მერობის კანდიდატი გია ჭანტურია. „მონაწილეობა ოლიმპიური პრინციპით, მხოლოდ გამარჯვებისთვის, ჩემთვის მისაღები არ არის“, – ამბობს თბილისის მერობის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის კანდიდატი.

გია ჭანტურია 1995 წლიდან საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას ხელმძღვანელობდა. ის აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერჯეტიკული დერეფნის, ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების სისტემათა განვითარების საკითხებში საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებული იყო. ჭანტურია თანამდებობიდან 2004 წლის 9 სექტემბერს მიხეილ სააკაშვილმა გაათავისუფლა. ახლა სპეციალურ საექსპერტო ჯგუფს ხელმძღვანელობს, რომელიც სუფსის ნავთობტერმინალის კომპლექსის განვითარებისთვის მუშაობს.

ჭანტურიას მერობისთვის ბრძოლა ქრისტიან-დემოკრატებმა გადააწყვეტინეს. ჩამოყალიბებული გეგმა, თუ რისი შეცვლა სურს თბილისში, ჯერ არ აქვს, – „ჯერ უნდა დავინახო, რა პრობლემები და რა სიმძიმის საკითხები დგას ჩემ წინაშე“, – ამბობს გია ჭანტურია არჩევნებამდე 3 თვით ადრე.

ქრისტიან-დემოკრატების კანდიდატი უგულავას საქმიანობას ერთმნიშვნელოვნად დადებითად აფასებს. მოქმედი მერის ნაკლოვანებებზე კი პრინციპულად არაფერს ამბობს. მასთან საუბარში ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თავად რომ არ იყრიდეს კენჭს, არჩევნებში იგი ხმას უგულავას მისცემდა: „ჩვენ უნდა მივეჩვიოთ ერთ რამეს: თუ ვხედავთ, რომ კონკურენტი, ასე ვთქვათ, უკეთესად ხედავს პერსპექტივებს, მეტის გაკეთება შეუძლია, უნდა დავფასოთ. მე სიამოვნებით დავეხმარები, რითაც კი შემიძლია ყველას, თუ უკეთესი ალტერნატივა იქნება. უნდა მივეჩვიოთ ერთმანეთთან თანამშრომლობას. ეს არ უნდა იყოს ბრძოლა!“

მიმართ ლოიალურად არიან განწყობილი: „მათ სერიოზულად არ უყურებს ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩეველი. ისინი უგულავას ხმებს ვერ წაართმევენ, თუმცა ვერ მოიზიდავენ ვერც საპროტესტო ხმებს“.

სავარაუდოდ, ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლის ნაწილისთვის მიმზიდველი კანდიდატურა იქნება პოლიტიკაში მოულოდნელად დაბრუნებული შევარდნაძის ხელისუფლების კიდევ ერთი მაღალჩინოსანი, ნიკა ივანიშვილი. ივანიშვილი კახა თარგამაძის მინისტრობის დროს საგზაო პოლიციას ხელმძღვანელობდა.

დაბრუნება, როგორც თავად ამბობს, 2009 წლის აპრილის აქციებმა გადაანყვე-

საკრებულოში მისი პარტია 4 ადგილს მიიღებს.

ნიკა ივანიშვილი ჯერჯერობით უპარტიოა. ის მერობის კანდიდატად საინიციატივო ჯგუფმა წარადგინა. თუმცა მისის არჩევნებისთვის მას პარტია უკვე ექნება. პარტიისა და საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია თებერვლის შუა რიცხვებში იგეგმება. გუნდის წევრების ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ივანიშვილი არ გამოირიცხავს, რომ არჩევნებში ბრძოლისას გვერდით მისი მეგობარი, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ყოფილი დირექტორი ნიკა ტაბატაძეც იქნება, რომელიც ამერიკიდან საქართველოში რამდენიმე კვირის წინ და-

■ „ჩრდილოვანი“ კანდიდატები ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატის ხმებს გადაინაწილებენ და ამით არჩევნებში ხელისუფლებას დაეხმარებიან.

პოლიტოლოგ გია ნოდის აზრით, კანდიდატები, რომლებიც არჩევნებში არა გამარჯვებისთვის, არამედ „ხმების მაქსიმალური რაოდენობის“ დასაგროვებლად მიდიან, ამ ხმებს ხელისუფლებას ვერ წაართმევენ. „არ მგონია, ხელისუფლებას რაიმე სახის პრობლემები შეუქმნან. მგონია, რომ უფრო მეტად ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებს მოიზიდავენ. იმის თქმა, რომ ქრისტიან-დემოკრატების, თორთლაძის კანდიდატები და ნიკა ივანიშვილი რაიმე რადიკალურ ცვლილებას მოახდენენ. არ შეიძლება, მაგრამ ხმების რაღაც ნაწილს წაართმევენ ოპოზიციას“, – ამბობს ნოდია.

სოციოლოგი გოჩა ცქტიშვილი ფიქრობს, რომ ქრისტიან-დემოკრატებს სტაბილური ამომრჩეველი ჰყავთ და მათი ხმები ავტომატურად ჩანტურისათან წავა. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქრისტიან-დემოკრატულმა პარტიამ ხმების 8,7 პროცენტი დააგროვა და ნაციონალების და გაერთიანებული ოპოზიციის შემდეგ მესამე ადგილზე გავიდა. თუმცა, მას მერე პარტიის იმიჯი მნიშვნელოვნად შეირყა.

„მაშინ თარგამაძის მხარდამჭერი იყო არა პროსახელისუფლებო ელექტორატი, არამედ ოპოზიციური ელექტორატი. მას მხარს უჭერდა მკვეთრად ოპოზიციური ამომრჩეველი. იმ დროს ხელისუფლებისადმი ლოიალურობის იმიჯი ქრისტიან-დემოკრატებს ნაკლებად ჰქონდათ. დღეს სურათი შეიცვალა“, – განმარტავს სოციოლოგი იაგო კაჭკაჭიშვილი.

კაჭკაჭიშვილი ამბობს, რომ ამომრჩეველი ქრისტიან-დემოკრატებს და გია თორთლაძის პარტიას კვაზიოპოზიციურ პარტიებად განიხილავს, რომლებიც ხელისუფლების

ტინა. „აქციებში ჩართული ვიყავი, როგორც ყველა მომიტინგე, როგორც ჩემი ქვეყნის მოქალაქე, რომელიც უკმაყოფილებას გამოხატავდა ხელისუფლების მიმართ“. მაშინ ოპოზიციამ მხარდამჭერებს იმედები გაუცრუა. ივანიშვილი ახალ გუნდთან ერთად ამის გამოსწორებას გეგმავს. ივანიშვილი, დიდი ხანია, მეგობრობს ლევან გაჩეჩილაძესთან. სტუმრობდა გია გაჩეჩილაძის გადაცემა „საკანი №5“-ს. თუმცა, დაუჭერენ თუ არა ლიად მხარს გაჩეჩილაძეები, არ იცის – „ეს ლევანის გადასაცემია. ძალიან გამიხარდება თუ ვითანამშრომლებთ. ამაზე არ გვისაუბრია“.

წინა ორი კანდიდატისგან განსხვავებით, ივანიშვილი დამარცხების შემთხვევაშიც გეგმავს პოლიტიკაში დარჩენას. ის ამ არჩევნებს „ტრამპოლინს“ უწოდებს: „ეს იქნება, გარკვეულწილად, ჩვენი ახალი პოლიტიკური ძალის გამოცდა. გვინდა, ჩვენი ძალები მოვსინჯოთ. იმ ქალაქში, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ, შევცვალოთ სიტუაცია სიკეთისკენ“.

ივანიშვილს ჩანტურისასა და იაკობიძისგან ისიც განასხვავებს, რომ ის არ ერიდება გიგი უგულავას კრიტიკას: „მიმაჩნია, რომ ყველას თანაბარი შანსები გვაცქს, გარდა ერთისა, რომელიც სახელისუფლებო კანდიდატია და აქვს ბერკეტები, რომ ჩვენგან განსხვავებულ მოქმედებები ჩაატაროს“. თუმცა, კრიტიკა ივანიშვილს უზომიერია.

ნიკა ივანიშვილთან დაახლოებული პირი, ანონიმურობის დაცვის პირობით ჰყვება, რომ ივანიშვილს თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა ხელისუფლების წარმომადგენლებმა შესთავაზეს. გარიგება ასეთია: მან არჩევნებში ოპოზიციას ხმების ნაწილი უნდა წაართვას, სანაცვლოდ კი,

ბრუნდა. „ნიკამ უნდა გადაწყვიტოს, ეთანხმება თუ არა ჩემ პოლიტიკურ შეხედულებას. თუ გადაწყვეტს და რაიმე მონაწილეობას მიიღებს ჩვენ პოლიტიკურ ორგანიზაციაში, მხოლოდ გაგვიხარდება“, – ამბობს ივანიშვილი.

თვითმმართველობის არჩევნებამდე სამი თვით ადრე ორი ყველაზე ძლიერი კანდიდატია – ხელისუფლების მხრიდან გიგი უგულავა, ოპოზიციიდან კი ირაკლი ალასანია. წინასწარი გამოკითხვებით, ორივე მათგანს სტაბილური ელექტორატი ჰყავს. თუმცა, არის ეგრეთ წოდებული შუალედური ხმები, რაც, სოციოლოგების ვარაუდით, ამ შემთხვევაში ამომრჩევლების თითქმის 40%-ს შეადგენს. უგულავა და ალასანია ერთმანეთს ყველაზე მწვავედ სწორედ ამ ხმებისთვის დაუპირისპირდებიან. საპარლამენტო ოპოზიციისა და საინიციატივო ჯგუფის კანდიდატები ამ შუალედური ხმებიდან უმეტესად ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატის, ანუ პოტენციურად ალასანიას ამომრჩევლების ხმებს რომ მიიზიდავენ, ამას არც ნიკა ივანიშვილი უარყოფს: „შეიძლება მართალიც იყოს, რომ ოპოზიციის კანდიდატებმა წავართვათ ერთმანეთს ხმები, მაგრამ ადამიანებს უნდა მივცეთ არჩევანის საშუალება. ეს დემოკრატიაა“.

ასეთი დემოკრატის პირობებში, ირაკლი ალასანიას წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი გამოწვევა საკუთარი კანდიდატურის სხვა ოპოზიციური კანდიდატებისგან მკაფიო გამოიჯენა იქნება. ალასანიამ ოპოზიციურად განწყობილ ამომრჩეველს უნდა დაანახოს, რომ ნებისმიერი ხმა, რომელსაც რომელიმე „ჩრდილოვანი“ კანდიდატი მიიღებს, საბოლოოდ გიგი უგულავას ყულბაში აღმოჩნდება. **■**



კონფლიქტები

დაპირიანებული სტრატეგია

საქართველოს უკვე აქვს ოფიციალურად ჩამოყალიბებული სტრატეგია, თუ როგორ აპირებს ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარებას.

„საქართველოს ხელისუფლება მიისწრაფვის, მიაღწიოს დასახულ მიზნებს მხოლოდ მშვიდობიანი და დიპლომატიური გზებით. იგი გამოორიცხავს სამხედრო გზით კონფლიქტის გადაწყვეტის შესაძლებლობას“, – აღნიშნულია სტრატეგიაში, რომელზეც საქართველოს რეინტეგრაციის სამინისტრო გასული წლის ოქტომბრიდან მუშაობს.

მსგავსი დოკუმენტი 2008 წლის აგვისტოს ომამდე რომ დაენერათ, შესაძლოა, მას ჰქონოდა რეალური შანსი, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დიალოგის საბაზი გამხდარიყო.

დღეს კი ცხინვალსა და სოხუმში აცხადებენ, რომ მას არც კი წაიკითხავენ, რაც ქმნის იმის საფრთხეს, რომ

ეს სტრატეგია მხოლოდ შიდაპოლიტიკური მსჯელობისა და საერთაშორისო ტრიბუნებზე აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის თემის გააქტუალურების მიზეზად დარჩება.

სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის ელჩმა რუსეთში დიმიტრი მედოევა განაცხადა, რომ ქართული სტრატეგია ევროპელებზე გათვლილი პიარ-სვლაა.

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბალაფშმა კი ქართულ სტრატეგიას „გალის მოსახლეობის მოსყიდვისა და გადაბირების გეგმა“ უწოდა.

„ჩვენ ამ თემას არც კი განვიხილავთ. პასუხად გავამკაცრებთ კონტროლს ენგურის ხიდთან და არავის

მივცემთ უფლებას, გალის რაიონში „მეხუთე კოლონა“ შექმნას“, – განაცხადა მან. ბალაფში საქართველოს ურჩევს, ახალი სტრატეგიების შეთავაზების ნაცვლად, ჟენევის ფორმატში ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულებას მოაწეროს ხელი.

„მიზეზი, თუ რატომ არ აწერს ხელს საქართველო ამ დოკუმენტს, მარტივია – ჩვენ უკვე გვაქვს შევარდნაძის მიერ ხელმოწერილი ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმებები აფხაზეთთანაც და ოსებთანაც, რომელიც პარალელურად ასევე გულისხმობს დეენილთა დაბრუნებასაც. არ გვინდა გაფორმდეს ახალი შეთანხმება, რომელიც მხოლოდ ძალის გამოუყენებლო-

ბის საკითხებს შეეხება დევნილთა დაბრუნების საკითხში ანალოგიური პროგრესის გარეშე“, – წერს სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელი ლევან რამიშვილი.

ტერიტორიული კონფლიქტების მრავალწლიანი ისტორიის მანძილზე 27 იანვარს გამოქვეყნებული სტრატეგია „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ პირველი დოკუმენტი, სადაც ოფიციალურმა თბილისმა ამ კონფლიქტების მოგვარების ხედვა ჩამოაყალიბა. „სტრატეგია გამოხატავს საქართველოს ურყევ გადანაცვლებას, მიაღწიოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთი ოსეთის სრულ დოკუმენტაციას, შეაქციოს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიის პროცესი და მშვიდობიანი გზით მოახდინოს ამ ტერიტორიებისა და მოსახლეობის რეინტეგრაცია საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში“, – აღნიშნულია დოკუმენტში.

ამ 16-გვერდიანი დოკუმენტის

ნა და ომით დაზარალებული მოსახლეობის შერიგება, პოლიტიკოსებზე ორიენტირებული არ არის. მისი სამიზნე რიგითი მოქალაქეები არიან.

მნიშვნელოვანია ის, რომ დოკუმენტი თავს არიდებს თემებს, რომლებზეც პრინციპული უთანხმოება არსებობს. სტრატეგია არ ეხება უსაფრთხოებისა და „ოკუპირებული“ რეგიონების სტატუსის თემას. ეს სწორედ ის საკითხებია, რომლებიც ტრადიციულად ყველაზე მტკივნეული იყო თბილისი-სოხუმისა და თბილისი-ცხინვალის ურთიერთობებში.

დოკუმენტი გამოქვეყნებიდან 6 დღეში უკვე ევროსაბჭოს შტაბ-ბინაში განიხილეს, რაც მოწმობს, რომ საქართველოს ხელისუფლებისთვის ამ საკითხში საერთაშორისო აუდიტორია და მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია. ახალ სტრატეგიას მალე გაერო-ში, ეუთო-ში, ნატო-სა და ევროკავშირში გაეცნობიან.

ევროსაბჭოს წევრი-ქვეყნების დიდმა უმრავლესობამ სტრატეგიას მხარი უკვე დაუჭირა. გამონაკლისი რუ-

კანონმდებლობაც. კერძოდ კი, კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2008 წლის ოქტომბერში მიიღო, რამაც მნიშვნელოვნად გაართულა ოსეთისა და აფხაზეთის მიმართულებით გადაადგილება და იქ ნებისმიერი აქტივობის განხორციელება. მაგალითად, ამ ქართული კანონის თანახმად, თბილისიდან სპეციალური ნებართვის გარეშე, აფხაზეთში ბიზნესის დაწყება აკრძალულია. ხოლო, აფხაზეთი კანონმდებლობის თანახმად, თბილისიდან ნებართვის ააღება აკრძალული.

მას შემდეგ, რაც მინისტრთა კაბინეტმა სტრატეგია დაამტკიცა, იაკობაშვილის აპარატი უკვე სამოქმედო გეგმაზე მუშაობას დაიწყო, რომელიც იენისისთვის უნდა მომზადდეს.

„მოქმედების გეგმას ორი მხარე აქვს. პირველი – ის, რაც უნდა გავაკეთოთ ჩვენ, იმ ადამიანების მონაწილეობის გარეშე, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ. ეს არის გარკვეული იურიდიული საკი-

■ „ამ სტრატეგიის პასუხად გავამკაცრებთ კონტროლს ენგურის ხიდთან და არავის მივცემთ უფლებას, გალის რაიონში „მეხუთე კოლონა“ შექმნას“.

მთავარი სიახლე ისაა, რომ ძირითადი აქცენტი გადატანილია არა გეოპოლიტიკაზე, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ პაკეტზე. დოკუმენტი ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლება ღია კარის პოლიტიკას ირჩევს და მზადაა, დაეხმაროს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ვაჭრობის, ბიზნესის, სოფლის მეურნეობისა და სხვა სფეროების განვითარებაში. ახალი სტრატეგია თითქმის ყველა სფეროს მოიცავს: ეკონომიკური ურთიერთობები, ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი, ჯანდაცვა, განათლება, კულტურული მემკვიდრეობა, სამართლებრივი საკითხები, ადამიანის უფლებები, სტიქიური უბედურებების პრევენცია. სტრატეგიაში ცალკე თავი ეთმობა სახალხო დიპლომატიას, რაც ექსპერტების აზრით, ამ პროცესის ლეგიტიმაციას ნიშნავს, რაც აქამდე არ ყოფილა.

სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი ამბობს, რომ დოკუმენტი, რომლის მთავარი ამოცანაა ნდობის აღდგე-

სეთის წარმომადგენელი ალექსანდრ ალექსეევი იყო. მისი თქმით, რუსეთისთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება მსგავსი სტრატეგიების განხილვა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ხელმძღვანელობასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.

ალექსეევის მოსაზრება სიურპრიზი არავისთვის იქნებოდა. მოსალოდნელია, რომ რუსეთი, რომელიც სულ უფრო მეტად მონაწილეობს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ცხოვრებაში, ამ დოკუმენტის ამუშავების მთავარი დაბრკოლება იქნება.

ამ დოკუმენტის წინააღმდეგ უკვე მუშაობს მისი სათაურიც – სტრატეგია „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“. საქმე ისაა, რომ არც აფხაზეთი და არც სამხრეთი ოსეთი საკუთარ თავს „ოკუპირებულად“ არ მიიჩნევენ და ამდენად ამ სათაურის მქონე სტრატეგიაზე მსჯელობას პრინციპულად ეწინააღმდეგებიან.

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ სტრატეგიის დაბრკოლებად შეიძლება იქცეს თავად ქართული

თხები – მაგალითად, რა უნდა ვუყოთ დოკუმენტებს, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოიცემა. მეორე – ეს უკვე კონკრეტული ორმხრივი პროექტებია, რომლებსაც ერთობლივად განახორციელებენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე და დანარჩენ საქართველოში მცხოვრები ადამიანები“, – ამბობს იაკობაშვილი.

პაატა ზაქარეიშვილი, რომელიც კონფლიქტებთან მიმართებაში ხელისუფლების პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე კრიტიკოსია, ამ სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში თავადაც იყო ჩართული. იგი ამბობს, რომ „ამ ტიპის დოკუმენტები ხელს უწყობს მოლაპარაკებებს“.

„მხარე ამ დროს, კარგი გაგებით, თავისივე განცხადების, სტრატეგიის მძევალი ხდება, რომელსაც ვერ გადაუხვევს. ასეთი დოკუმენტი ომამდე რომ შემდგარიყო, მასში არ იქნებოდა „ოკუპირებული ტერიტორიები“ და, რა თქმა უნდა, მას სხვა შედეგი ექნებოდა“. □



ქავკასია

ერთი ნახიჯი წინ და რამდენიმე უკან

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, შესაძლოა, გალღვეს. ამას არ გამორიცხავენ არც კონფლიქტში მონაწილე მხარეები და არც შუამავლები.

თათულ ჰაკობიანი, ერევანი

აშშ-ს სენატის სადაზვერვო კომიტეტში 2 თებერვალს სამხრეთ კავკასიაში არსებულ საფრთხეებზე ისაუბრეს. კომიტეტის წინაშე სიტყვით გამოსვლისას ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო სამსახურის უფროსმა დენის ბლერმა თქვა: „კავკასიის გადაუნყვეტელი კონფლიქტები ევრაზიის რეგიონში ყველაზე ფეთქებადსაშიშია. საქართველოს სეპარატისტული რეგიონების – სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის ცხოვრებაში მოსკოვის მზარდი სამხედრო და პოლიტიკურ-ეკონომიკური მონაწილეობა, ასევე, რეგიონში დაფიქსირებული ცალკეული ძალადობის ფაქტები ქმნის დაძაბულობას, რომელმაც შეიძლება ბრძოლების განახლებამდე მიგვიყვანოს“.

აშშ-ს დაზვერვის სამსახურის პირველი პირი ამბობს, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის განახლების საფრთხე რეალურია.

მისი თქმით, ვითარება მას შემდეგ

დაიძაბა, რაც, აშშ-ს მხარდაჭერით, სომხეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობები დათბა.

„სომხეთ-თურქეთის დაახლოებამ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ დელიკატურ ურთიერთობაზე იმოქმედა. მთიანი ყარაბაღის გამო, კონფლიქტის განახლების რისკი იზრდება“, – აცხადებს ბლერი.

მთიანი ყარაბაღის გამო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ომი 1994 წელს დასრულდა. კონფლიქტის სამივე მხარემ – ერევანმა, სტეფანაკერტმა და ბაქომ, რუსეთის მედიატორობით, ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი „გაყინულად“ ითვლება, ამ 16 წლის მანძილზე ორმხრივმა სროლებმა და სნაიპერების ტყვიებმა 3000-ზე მეტი სომეხი და აზერბაიჯანელი ჯარისკაცისა და მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეინირა.

გასულ წელს სომხეთ-თურქეთის

დაახლოების გამო ყარაბაღის მოლაპარაკების პროცესი გართულდა.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა აშშ და მთიანი ყარაბაღის სამშვიდო პროცესში ჩართული სხვა სახელმწიფოები მკაცრად გააკრიტიკა იმის გამო, რომ ისინი სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის დარეგულირებას სათანადოდ არ ცდილობენ. ერდოღანის აზრით, მედიატორებმა სომხეთზე ზეწოლა უნდა მოახდინონ, რათა იგი „აზერბაიჯანის ტერიტორიების დეოკუპაციას“ დათანხმდეს. ერდოღანმა არაერთხელ აღნიშნა, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თურქეთის პარლამენტი ციურისში დიდი ზარ-ზეიმით ხელმოწერილი სომხურ-თურქული ოქმების რატიფიკაციას დიდი ხნით გადადებს.

სომეხი ლიდერები ამ წინაპირობას არ აღიარებენ. ისინი ყარაბაღის სამშვიდობო პროცესში თურქეთის ნებისმიერ მონაწილეობას ეწინააღმდეგებიან. მიზეზად კი ანკარასა და



■ ალიევის, მეღველიის და სარგსიანის შეხვედრა, მოსკოვი, 25 იანვარი 2010



■ აზერბაიჯანული ტანკი, როგორც ომის მონუმენტი, მთიანი ყარაბაღი

ბაქოს მეგობრულ ურთიერთობებს ასახელებენ.

აზერბაიჯანი მუდმივად იმუქრება, რომ ბაქო ყარაბაღს ძალით დაიპყრობს. კავკასიის რეგიონში გამაღლებული შეიარაღება მიმდინარეობს. აზერბაიჯანის სამხედრო ბიუჯეტი (2010 წლის მონაცემებით – 2 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი) სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის ერთად აღებული ბიუჯეტების ტოლია.

თუმცა, სომეხი ექსპერტები ირწმუნებიან, რომ აზერბაიჯანის სამხედრო რიტორიკა პოპულიზმია და ადგილობრივი მსმენელისთვისაა განკუთვნილი. ისინი მიიჩნევენ, რომ აზერბაიჯანს დღეს სერიოზული სამხედრო შესაძლებლობები არ აქვს.

მეორე მხრივ, აზერბაიჯანის სამხედრო მუქარების საპასუხოდ, სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ სომხურმა არმიამ კონფლიქტური ტერიტორიის გარშემო თავდაცვითი ნაგებობები გაამაგრა და მორიგი ომისთვის მზად არის.

პარალელურად, სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესს განაგრძობენ. 2010 წელი სულ ახლახან დაიწყო, სერჟ სარგსიანმა და ილჰამ ალიაევმა კი ერთმანეთის ნახვა უკვე მოასწრეს. სოჭში გამართული მოლაპარაკებების ინიციატორი რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი იყო, რომელიც უკვე მეხუთედ

მასპინძლობს მსგავსი ფორმატის შეხვედრას.

სოჭის შეხვედრამდე ეუთო-ს მინსკის ჯგუფის ამერიკელმა, ფრანგმა და რუსმა თანათავმჯდომარეებმა განაცხადეს, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების არსებულ გეგმაში – „მადრიდის პრინციპებში“ – გარკვეული ცვლილებები შევიდა. ახალი გეგმა სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებს უკვე წარუდგინეს.

„მადრიდის პრინციპები“, რომელიც მთიანი ყარაბაღის საქმეში ერთ-ერთი მთავარი დოკუმენტია და მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეებმა ეუთო-ს 2007 წლის მადრიდის მინისტრიალზე წარადგინეს, შემდგომში მდგომარეობს: მთიანი ყარაბაღის მიმდებარე ტერიტორიების აზერბაიჯანისათვის დაბრუნება; მთიანი ყარაბაღისათვის დროებითი სტატუსის მინიჭება უსაფრთხოებისა და თვითმმართველობის გარანტიით; სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის დამაკავშირებელი დერეფნის გახსნა; მთიანი ყარაბაღის საბოლოო იურიდიული სტატუსის განსაზღვრა იურიდიულად სავალდებულო ნების გამოხატვის გზით (პლემბისციტი ან რეფერენდუმი); დევნილთა და ლტოლვილთა დაბრუნება მათ საცხოვრებელ ადგილებზე; უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიები, სამშვიდობო ოპერაციის ჩათვლით.

2008 წლის ზაფხულში სომხეთ-

■ „კავკასიის გადაუნყვეტელი კონფლიქტები ევრაზიის რეგიონში ყველაზე ფეთქებადსაშიშია. საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ცხოვრებაში მოსკოვის მზარდი სამხედრო მონაწილეობა, ასევე, რეგიონში დაფიქსირებული ძალადობის ფაქტები ქმნის დაძაბულობას, რომელმაც შეიძლება ბრძოლების განახლებამდე მიგვიყვანოს“.

თურქეთის დაახლოების პროცესის დაწყებამდე, იმის ალბათობა, რომ ერევანი და ბაქო ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტას „მადრიდის პრინციპებზე“ დაყრდნობით შეძლებდნენ, ჯერ კიდევ არსებობდა.

მაგრამ დღეს, როცა თურქეთი ყარაბაღის სამშვიდობო პროცესში აქტიურად ჩაერთო და ამ კონფლიქტის მოგვარებაზე მსოფლიოს ლიდერებთან გამართულ შეხვედრებზე საუბრობს, ეს ყარაბაღის მოლაპარაკებათა დელიკატურ პროცესს კიდევ უფრო რთულს ხდის. ■

მოსმენის პოლიტიკა

ძალოვანი სტრუქტურების პოლიტიზებულობა და სასამართლო სისტემის სისუსტე ხელს უწყობს მმართველ პარტიას, ფარული სატელეფონო მიყურადება პოლიტიკურ იარაღად გამოიყენოს.

ანიტა თვაური



ილუსტრაცია: თეონა მანუჩიანი / ფონი: სანალონი

„ბატონო ვანო, მართლა ყველას გვისმენთ?“ – ჰკითხა შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს გადაცემა „პოზიციის“ წამყვანმა ნინო შუბლაძემ. „არა, რა თქმა უნდა, ყველას არ გისმენთ“, – ღიმილით უპასუხა მინისტრმა. მოსმენების თემა, რომელზეც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და ჟურნალისტს ედიმებათ, მოლდოველმა უფლებადამცველებმა სტრასბურგის სასამართლოს განხილვის საგანი გახადეს.

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ გვისმენენ, მაგრამ ამას ვერ დავასაბუთებთ, რადგან კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შეტყობინების ვალდებულებას“, – წერდა მოლდოვერი არასამთავრობო ორგანიზაცია „იურისტები ადამიანის უფლებებისთვის“ 2002 წელს, სტრასბურგის სასამართლოში შეტანილ საჩივარში. მათ წარადგინეს სტატისტიკური მონაცემები, რომელიც აჩვენებდა, რომ 2007 წელს მოლდოვაში სატელეფონო მიყურადებაზე შესული შუამდგომლობების

99,4 პროცენტზე მოსამართლეებმა მოსმენის ნებართვა გასცეს. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, თითქმის ყველა შუამდგომლობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი ნათელიყოფდა, რომ მოლდოვაში სატელეფონო მიყურადების უფლებამოსილებას გადამეტებით იყენებდნენ. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოლდოვის მოქმედი კანონმდებლობა არასათანადოდ უზრუნველყოფდა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის

უფლების დაცვას.

მსგავსი მიზეზების გამო, მოქმედი ქართული კანონმდებლობა სატელეფონო მიყურადებასთან დაკავშირებით არ აძლევს მოქალაქეებს საშუალებას, დაამტკიცონ, რომ მათი მოსმენა უფლებამოსილების გადაჭარბებით ხდება. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვის, როდის და რა მიზეზით უსმენს სამართალდამცავი სტრუქტურა, ქართული კანონმდებლობით მკაცრად გასაიდუმლოებულია. და სწორედ ამიტომ არის სატელეფონო მიყურადება დანაშაულის გამოვლენის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი. თუმცა ქართული კანონმდებლობა არც მას შემდეგ ავალდებულებს სახელმწიფოს, აცნობოს მოქალაქეს მის პირად ცხოვრებაში ჩარევის შესახებ, რაც გამოძიება დასრულებულია და ამ ინფორმაციის გაცემით მას ზიანი აღარ მიადგება.

ფარულ სატელეფონო მიყურადებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებები 2011 წლის 1 აპრილიდან შევა ძალაში, რაც საჯაროს ხდის მოსმენის შესახებ ოქმს, თუმცა მოსამარ-

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე, პავლე კუბლაშვილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ნდობას უცხადებს ინფორმაციის მომწოდებელ პირს, და მისი ვინაობის გასაიდუმლოება ხელს არ უშლის მოსამართლეს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში. „როგორ უნდა გადაამოწმოს მოსამართლემ – უნდა დაურეკოს საგამოძიებო სტრუქტურის აგენტს და ჰკითხოს, – შენ მართლა მიაწოდე თუ არა ეს ინფორმაცია? თქვენი აზრით, ეს ნორმალური პროცედურა იქნება?“ – ამბობს პარლამენტარი.

კანონი მოსამართლისგან პროკურატურის მოთხოვნის საფუძვლიანობის გადამოწმებას რომ არ მოითხოვს, ამას ირაკლი მელაშვილის შემთხვევაც მონიშნავს. პოლიტიკოსისთვის ახლა რთულია ცალსახად იმის თქმა, მოსამართლის თვითნებობამ განაპირობა მისი სატელეფონო საუბრების უკანონო მოსმენა, თუ მისმა უუფლებობამ. რამდენიმე წლის წინ მელაშვილის ადვოკატმა სხვა კლიენტის საქმის შესწავლისას შემთხვევით მიაქცია ყურადღე-

გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე ნიკა გვარამია ამბობს, რომ ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით კანონმდებლობა საკმაოდ დემოკრატიულია. მისი აზრით, კანონმდებლობა შეიძლება უფრო მეტად ან ნაკლებად იყოს ორიენტირებული პიროვნების უფლების დაცვაზე, მაგრამ ის კონკრეტულ ნიშნულს არ უნდა ჩამოსცდეს. „კანონში ყველა მინიმალური მოთხოვნა აბსოლუტურად გვაქვს დაცული, ახლა უკვე სახელმწიფოს გადასაწყვეტია, რა სიმაღლეზე დააყენებს ის ინდივიდის უფლების დაცვას და რა სიმაღლეზე დააყენებს საჯარო ინტერესს“, – ამბობს გვარამია. მისი შეფასებით, სახელმწიფოებრიობის განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა ქურდული სამყაროს დამარცხება იყო, პრიორიტეტი საჯარო ინტერესის სასარგებლოდ გადაიხარა. მისი აზრით, ეს პრიორიტეტი სახელმწიფოს განვითარების შემდეგ საფეხურზე შეიძლება შეიცვალოს.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი 2006 წლის 27 მარტს თბილისის მე-5 სა-

■ კანონმდებლობა სატელეფონო მიყურადებასთან დაკავშირებით არ აძლევს მოქალაქეებს საშუალებას, დაამტკიცონ, რომ მათი მოსმენა უფლებამოსილების გადაჭარბებით ხდება.

თლის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას მხოლოდ გამოძიებელს უტოვებს.

მიყურადების ნებართვის მისაღებად გამოძიებელი პროკურორის შუამდგომლობით მიმართავს მოსამართლეს. ის ვალდებულია 24 საათის განმავლობაში გადაწყვიტოს, გასცეს თუ არა ნებართვა მოსმენაზე. თუმცა ამ გადაწყვეტილების მიღებისას მისთვის საიდუმლოდ რჩება ოპერატიული წყაროს (პირი, რომელიც საგამოძიებო სტრუქტურასთან თანამშრომლობს) ვინაობა.

იურისტი ბესო ბოხაშვილი მიიჩნევს, რომ ამის გამო მოსამართლეს ინფორმაციის სანდოობის გადამოწმების საშუალება წართმეული აქვს. „ოპერატიული ინფორმაციის წყაროს გასაიდუმლოებით სახელმწიფო პროკურორის უფრო მეტ ნდობას უცხადებს, ვიდრე მოსამართლეს. ეს არის მოსამართლის როლის დაკნინება. ნებართვის გაცემისას მოსამართლე აფასებს, საზოგადოებრივი საჭიროება გადასწონის თუ არა ადამიანის კერძო ინტერესს. მას უნდა ჰქონდეს საკმარისი ინფორმაცია სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად“.

ბა, რომ მოსამართლეს სანქცია ჰქონდა გაცემული ირაკლი მელაშვილის ტელეფონის მოსმენაზე, თუმცა დოკუმენტში ამ ტელეფონის ნომრის მფლობელად პროკურორის სხვა პიროვნება ჰყავდა მითითებული.

„ეს არის ღია დადასტურება იმისა, რომ სახელმწიფოში პოლიტიკური ნიშნით ხდება მოსმენები, რადგან სხვა გამართლება ამ ფაქტს არ აქვს“, – ამბობს ირაკლი მელაშვილი.

ყოფილი მოსამართლე ვახო თალაკვაძე მიიჩნევს, რომ დღეს საქართველოში მოსამართლეს ნოტარიუსის ფუნქცია აქვს დაკისრებული. „მართალია, ბრძანებაში ყველა დეტალს არ ვწერდი, მაგრამ ვწერდი, თუ რატომ იყო აუცილებელი მიყურადება და რის საფუძველზე მივიღე გადაწყვეტილება. ახლა უბრალოდ წერენ, რომ „დაკმაყოფილდეს“, – რისთვის და რა საფუძვლითო, – რომ ჰკითხო, – საიდუმლოაო, – გეტყვიან“, – ამბობს ვახო თალაკვაძე. მისი შეფასებით, იმის გამო, რომ მოსმენაზე სანქციის აღება იოლია, დღეს გამოძიება ძირითადად ფარულ სატელეფონო მოსმენებს ეყრდნობა.

პერობილუმი მომხდარმა ციხის ბუნტმა გამოიწვია. მაშინ პროკურატურამ ე.წ. ქურდული სამყაროს წარმომადგენლის ტარიელ ფოცხვერიას, ე.წ. „ტარასას“ სატელეფონო საუბრები გამოაქვეყნა. „საზოგადოებას აინტერესებდა, რა ხდებოდა ციხეში და რასთან გვერდოდა საქმე, იმისათვის, რომ ამ საქმის ირგვლივ ყველა კითხვის ნიშანი მოხსნილიყო. ლოგიკური და ბუნებრივიც იყო, რომ ეს ინფორმაციები გავრცელებულიყო“, – ამბობს პავლე კუბლაშვილი.

გარდა საზოგადოებრივი ინტერესისა, ნიკა გვარამია იხსენებს, რომ ამ საუბრების გამოქვეყნება იყო იმ პოლიტიკის ნაწილი, რომლითაც ქვეყანა კრიმინალურ სამყაროს ებრძოდა. მისი თქმით, რევოლუციის შემდეგ ძალიან მყიფე მემკვიდრეობა ერგო ახალ ხელისუფლებას, განსაკუთრებით სამართალდაცვითი კუთხით, და ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად მისი მთავარი გამოწვევა დანაშაულებრივი სამყაროს დამარცხება იყო. „მთავარი პრობლემა იყო ის, რომ მათ (ქურდული სამყაროს და ქურდების) არსებობას ჰქონდა თავისი განფენილობა ადამიანების აღ-

ქმეებში პოზიტიური თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, ამ აზრის გარდატეხის შემადგენელი ნაწილი იყო მოსმენების გავრცელება“, – ამბობს ნიკა გვარამია.

სატელეფონო მიყურადებები მოპოვებული ჩანაწერის გავრცელება მოგვიანებითაც, 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგაც გახდა პოლიტიკის ნაწილი. 7 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტელევიზიებს მიაწოდა ლევან ბერძენიშვილის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი რუსეთის საელჩოს წარმომადგენელთან. ტელეკომპანია „იმედის“ პირდაპირ ეთერში ლევან ბერძენიშვილი იმავე დღეს აცხადებდა, რომ „მისი ზრდილობიანი საუბარი რუსეთის საელჩოს ერთ-ერთ წარმომადგენელთან არ შეიცავდა ჯაშუშობის ელემენტებს და შეუძლებელი იყო ამ კუთხით მისი მოსმენის გამართლება“. „თუმცა, არავის უთქვამს, რომ ის ჯაშუშობაში იყო ბრალდებული“, – იხსენებს ნიკა გვარამია. ეს ჩანაწერი უბრალოდ გავრცელდა. ლევან ბერძენიშვილის მტკიცებით, 2007 წელს

გეგმავდა სახელმწიფო გადატრიალებას და ვალდებული ვიყავით, ეს ინფორმაცია საზოგადოებისთვის მიგვეწოდებინა“, – ამბობს ნიკა გვარამია.

როგორც აღმოჩნდა, პროკურატურა უსმენდა არა მარტო ბადრი პატარკაციშვილს, რომლის წინააღმდეგაც საქმე იყო აღძრული, არამედ იმედის ჟურნალისტებსაც. სოფო ჭავჭავაძე და ეკა ქადაგიშვილის საუბარი ერთ-ერთი სარედაქციო შეხვედრის შესახებ პროკურატურამ პატარკაციშვილის მიერ ტელეკომპანია „იმედის“, როგორც გადატრიალების მცდელობის იარაღად გამოყენების, მტკიცებულებად ცნო. გამოქვეყნდა გიორგი თარგამაძის და პატარკაციშვილის საუბარიც. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ყველა იმ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის საუბარი, ვინც რუსეთის საელჩოს წარმომადგენლებს სხვადასხვა დროს ესაუბრებოდა – გოგა ხაინდრავა, შალვა ნათელაშვილი. გამოქვეყნდა ცოტენ და კონსტანტინე გამსახურდიებს

ინფორმაცია სცოდნოდა საზოგადოებას. ძალოვანი სტრუქტურა უნდა იყოს დემოკრატიული, მაგრამ, მამინდელი პროცესების გათვალისწინებით, აქ რაიმე პრობლემა არ ყოფილა“, – ამბობს პავლე კუბლაშვილი.

ოპოზიციური პარტიები სატელეფონო საუბრების ჩანაწერების გამოქვეყნებას მმართველი პარტიის მიერ მათ წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ იარაღად აფასებენ. „შვიდი ნოემბრის შემდეგ იმ ფილმის გაკეთებისთვის, რაც გააკეთეს, ნორმალურ ქვეყნებში არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ სამართლებრივად აგებინებდნენ პასუხის ნებისმიერ პოლიტიკოსს – ცილისწამებისთვის, რეპუტაციის შელახვისთვის“, – ამბობს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი.

საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტის დირექტორი გოჩა ცქიტიშვილი დაახლოებით ერთი წლის წინანდელ საზოგადოებრივ კვლევას იხსენებს, რომლის შემადგენელი კი-

■ მოსახლეობის ნახევარზე მეტი თანახმაა, დაირღვეს მისი უფლებები სახელმწიფოში ნესრიგისა და სიმშვიდის შენარჩუნების ფასად.

გავრცელებული ინფორმაცია ხელისუფლებამ 2004 წელს, მისი პარლამენტში ყოფნის პერიოდში მოიპოვა, რადგან ეს საუბარი საპარლამენტო ტელეფონის ნომრიდანაა ჩანერილი. „როგორც ჩანს, ეს ჩანაწერი ინახებოდა და შემდგომში ჩემი პოლიტიკური დისკრედიტაციის მიზნით იქნა გამოყენებული“, – ამბობს რესპუბლიკური პარტიის წევრი ლევან ბერძენიშვილი. როგორც ბერძენიშვილი იხსენებს, მოგვიანებით საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თვითონ თქვა, – აქ ბრალდება არ ყოფილა, ჩვენ მისი სახე ვაჩვენეთო.

ოპოზიციის წარმომადგენელთა ფართული სატელეფონო ჩანაწერების გაცილებით ვრცელი სია პროკურატურამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ 7 ნოემბრის შემდეგ, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პერიოდში პირველი არხის ეთერით გასულ ფილმში ინახა. ადგინა. როგორც ნიკა გვარამია იხსენებს, ეს იყო ვრცელი ინტერვიუ მასთან, როგორც გენერალური პროკურორის მოადგილესთან, რომელიც საზოგადოებას აცნობდა იმ რეალური საფრთხის არსს, რასაც პატარკაციშვილის საქმე ერქვა. „ჩვენ ეგზისტენციალური პრობლემის წინაშე ვიდექით. ეს ადამიანი

შორის სატელეფონო საუბრები, სადაც ცოტენ, ხალხის ენერჯის არასწორად გამოყენების გამო, ჯერ კონსტანტინე გამსახურდიას საყვედურობდა, შემდეგ შალვა ნათელაშვილს.

იურისტ ლევან გეგეშიძის განმარტებით, კანონმდებლობა ფარული მიყურადებით მოპოვებულ ინფორმაციას საიდუმლოდ აცხადებს, ვიდრე ეს მასალა მტკიცებულებად არ იქცევა. მსგავსი სატელეფონო საუბრების გამოქვეყნების შემთხვევაში, პროკურატურამ ავტომატურად უნდა დაიწყოს გამოძიება.

დღეს არც ერთი მათგანი ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული არ არის, რადგან მათი ბრალეულობა მოგვიანებით არ დამტკიცდა. როგორც პავლე კუბლაშვილი იხსენებს, საქმის გამოძიება ამ პოლიტიკოსების მიმართ პოლიტიკური შეთანხმების საფუძველზე შეწყდა. საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის შემდეგ მმართველი პარტია გაურიგდა ოპოზიციას, რომ შეწყვეტდნენ მათ პოლიტიკურ დევნას და ამ საქმეებს აღარ მიეცათ შემდეგი მსვლელობა. ამ ჩანაწერების გამოქვეყნების აუცილებლობას კი ისევ საზოგადოებრივი ინტერესით ხსნის. „ამ კონკრეტულ შემთხვევაში ლოგიკური იყო, ეს

თხვარი მოსმენების შესახებ საქართველოს მოქალაქეების აზრის გამოკვლევას ისახავდა მიზნად. კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტი თანახმაა, დაირღვეს მისი უფლებები სახელმწიფოში ნესრიგისა და სიმშვიდის შენარჩუნების ფასად. „შეიძლება მე მიჩვენია, რომ სახელმწიფომ დაარღვიოს ჩემი უფლება, ვიდრე ბანდიტურმა დაჯგუფებამ, მაგრამ ასე საკითხი არ უნდა დავსვათ. ბანდიტური დაჯგუფებისგან განსხვავებით, სახელმწიფოს მოვალეობაა, დაცვას ადამიანის უფლებები“, – ამბობს გოჩა ცქიტიშვილი. სოციოლოგის აზრით, მოსახლეობის ამგვარი დამოკიდებულება გამოწვეულია როგორც საკუთარი უფლებების უცოდინრობით, ისე ამ ღრუბულების არასათანადო შეფასებით. „ამას გარდა, ადამიანები ვერ ხედავენ საკუთარი უფლებების რეალიზაციის გარემოს“, – ამბობს ცქიტიშვილი. მიუხედავად ასეთი ურთიერთბრალდებებისა, სამართლიანობაზე დავა სასამართლო განსჯის მიღმა რჩება. არც ერთმა იმ პირმა, რომლის სატელეფონო ჩანაწერებიც პროკურატურამ გამოაქვეყნა, არ იჩივლა სასამართლოში, და ამის მიზეზად სასამართლოსადმი უნდობლობას ასახელებენ. ■

პოლიტიკური საქართველოში

პოლიტიკური აქტიურობის სანაცვლოდ – სიხის საკანი

დევნიან თუ არა საქართველოში ადამიანებს მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო?

ნინო ბექიშვილი



ფოტო: მარიამ ავალიანი

საბჭოთა რეჟიმი იმ ადამიანებს, ვინც მაშინდელ რეპრესიულ სისტემას უპირისპირდებოდა, ან უბრალოდ კრიტიკულ აზრს გამოთქვამდა, სამაგალითოდ სჯიდა, ამიტომაც, სიტყვებს „პოლიტიკური პატიმარი“ საბჭოეთის ყოფილი მოქალაქეები განსაკუთრებული სიმძაფრით აღვიქვამთ. ევროსაბჭოს 2004 წლის რეზოლუციის მიხედვით, რომელიც აზერბაიჯანსა და სომხეთში გახშირებული პოლიტიკური დევნის გამო იქნა მიღებული, პოლიტიკურ პატიმრად შეიძლება ნებისმიერი ადამიანი ჩაითვალოს, ვინც პოლიტიკურად

აქტიურია და ვისი რაიმე მიზეზით დაპატიმრებაც შეიძლება ხელისუფლებას ხელს აძლევდეს; ასევე ისინიც, ვინც საკუთარი ოჯახის წევრებისა და ნათესავების პოლიტიკური აქტიურობის შედეგად აღმოჩნდნენ ციხეებში.

მიუხედავად იმისა, რომ რაღაც ნაბიჯები გადაიდგა და საკმაოდ ბევრი ფულიც დაიხარჯა, ჯერჯერობით საქართველოში სასამართლო რეფორმა ვერ განხორციელდა, ამიტომაც, ხელისუფლებას ხელთ აქვს ძლიერი ინსტრუმენტი და როცა სჭირდება, წარმატებით იყენებს კიდევ პოლი-

■ საქართველოში პოლიტიკური პატიმრების არსებობას ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია“ აღიარებს, რომელმაც გამოაქვეყნა ანგარიში, სახელწოდებით „ეკლუბი ვარდების შემდეგ – პოლიტპატიმრები პოსტრევოლუციურ საქართველოში“.

ტიკურად აქტიური ადამიანების წინააღმდეგ. მმართველ პარტიასა და სამართალდამცავებს ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსისა და დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობა პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნას საკმაოდ უადვილებს.

საქართველოში დეკემბრის ბოლოს რუსი უფლებადამცველი, ანდრეი სახაროვის პრემიის ლაურეატი, რუსული უფლებადაცვითი ორგანიზაციის „მემორიალის“ ხელმძღვანელი სერგეი კოვალიოვი ჩამოვიდა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრა სურდა რუსეთის მოქალაქის, აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას საქმესთან დაკავშირებით. ვლადიმერ ვახანიამ ზუგდიდში პოლიტიკური პარტია დააარსა. ის გასული წლის მარტში დააკავეს და ჟურნალისტიკის მუშაობაში ხელის შეშლა, იარაღის უკანონოდ შენახვა წაუყენეს ბრალად და ოთხნობიანი სასჯელი

პოლიციელი (და არა ორი, როგორც პროკურატურა აცხადებს). სახლს მთელი დღე პოლიციელების კორდონი იცავდა და არავის აძლევდნენ გადაღების უფლებას. სერგეი კოვალიოვი, რომელმაც თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე ბოდიში მოუხადა ქართველ ხალხს 2008 წლის აგვისტოში რუსეთის სახელმწიფოს საქციელის გამო (საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა სერგეი კოვალიოვის ვიზიტი სწორედ ასე გააშუქა. 26 დეკემბერს, „მომამბეში“ გასულ სიუჟეტში საუბარია მხოლოდ იმაზე, როგორ გმობს რუსი უფლებადამცველი რუსეთის აგრესიას და არაფერია ნათქვამი მისი ვიზიტის მიზანზე), რამდენიმე დღე ელოდა საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრას, თუმცა უშედეგოდ. მას არც ერთი ოფიციალური პირი არ შეხვედრია.

ხელისუფლება, ცხადია, უარყოფს

გზე მომხდარი სამართალდარღვევის შემდგომ ძიებასა და სამართლებრივ დევნაზე“, თუმცა, ამ განცხადებას რეალური შედეგი არ მოჰყოლია და მთავრობას არავითარი მორატორიუმი არ გამოუცხადებია. 12 აგვისტოს, როდესაც შპს-ს მინისტრი ვანო მერაბიშვილი ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდა, მათ ერთ-ერთ პირველ მოთხოვნად საკუთარი მხარდამჭერების ციხეებიდან გათავისუფლება დააყენეს და მინისტრს 48-კაციანი სია გადასცეს. ეს ადამიანები ძირითადად აქციების მსვლელობისას დააკავეს და მათ უმეტესობას ერთი და იგივე ბრალდებები ჰქონდათ წაყენებული: იარაღის ან ნარკოტიკების უკანონო შექმნა-შენახვა და სამართალდამცავი ორგანოებისათვის წინააღმდეგობის განწვევა. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ამ საქმეზე უმეტეს შემთხვევაში ერთადერთი მტკიცებულება პოლიციელების ჩვენება იყო. რამდენიმე

■ განსაკუთრებით ხშირია ოპოზიციური პარტიების წევრების ან უბრალო მხარდამჭერების დაკავება რეგიონებში, სადაც ამგვარი ფაქტების შემდეგ მოსახლეობას ბუნებრივად უჩნდება პოლიტიკური აქტიურობის შიში.

მიუსაჯეს. სერგეი კოვალიოვის თქმით, „ჩვენ იმიტომ დავინტერესდით ვახანიას საქმით, რომ ის მეცნიერია და რუსეთის მოქალაქე. მისმა ოჯახმა და ადვოკატებმა მოგვმართეს თხოვნით, შეგვესწავლა ეს საქმე. ასეც მოვიქცეთ და საქართველოს პრეზიდენტს წერილიც მივწერეთ ვახანიას შეწყალების თხოვნით. თუმცა, ისიც არ ვიცით, ამ წერილმა მიაღწია თუ არა პრეზიდენტამდე. საქმეში აშკარად ჩანს შეუსაბამობები. ვახანიას ჯერ ჩამოართვეს ორივე პასპორტი, მერე კი მალევე ჩაატარეს ჩხრეკა და აღმოუჩინეს იარაღი. კაცი სულელი უნდა იყო, რომ დოკუმენტები გქონდეს ჩამორთმეული და შეიძინო ავტომატი და ხელყუმბარა“. პარალელურად, ტელევიზიებმა ვახანიასგან წარმატებით შექმნეს „ხალხის მტრის“ ხატი. მისი ადვოკატები ამბობენ, რომ ბრალდების მხარე საქმეში არ ჩართო მათ მიერ წარდგენილი მტკიცებულებები. ვახანიას სახლთან დამონტაჟებული ვიდეოკამერებიდან ჩანს, როგორ შედის მის სახლში ათობით

საკუთარ ქვეყანაში პოლიტიკური პატიმრების არსებობას, მით უმეტეს, ეს ფაქტი არც ევროსაბჭოს უღიარებია. 2009 წლის 18 ნოემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ გიგა ბოკერიამ ამერიკულ დელეგაციასთან შეხვედრის შემდეგ თქვა, რომ „საქართველო არის ქვეყანა, სადაც პოლიტიკური პატიმრები არ არსებობენ“.


შარშანდელი რთული სამი თვის შემდეგ, როდესაც ხელისუფლებამ მართლაც გამოიჩინა მოთმინება და 2007 წლის 7 ნოემბერი აღარ გაუმეორებია, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები აქციების მიმდინარეობისას და მერეც გამუდმებით ლაპარაკობდნენ მათი წევრების დევნაზე. 11 მაისს ოპოზიციის ლიდერებთან შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ სხვა წინადადებებთან ერთად მან ასევე შესთავაზა ოპოზიციას მორატორიუმი „საპროტესტო აქციების მიმდინარეობის დროს გადამეტებულ პოლიტიკური ემოციების ნიადა-

მაგანის გათავისუფლება მართლაც მოხერხდა, თუმცა უმეტესობა ისევ იხდის სასჯელს. განსაკუთრებით ხშირია ოპოზიციური პარტიების წევრების ან უბრალო მხარდამჭერების დაკავება რეგიონებში, სადაც ამგვარი ფაქტების შემდეგ მოსახლეობას ბუნებრივად უჩნდება პოლიტიკური აქტიურობის შიში. დღეს რეგიონებიდან ათობით ოპოზიციის მხარდამჭერი იხდის სასჯელს. რესპუბლიკური პარტიის წევრი მერაბ ქათამაძე იხსენებს, როგორ დააკავეს და პოლიციაში დაკითხვისას მაგიდაზე როგორ დაუდეს იარაღი, რომელიც მაშინ პირველად ნახა. მერაბ ქათამაძის დაკავებას მიტიჩგებზე და ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში საკმაოდ დიდი რეზონანსი მოჰყვა. ამიტომაც, სამართალდამცავები მაშინ გირაოს დასჯერდნენ, თუმცა საქმე არ დაუხურავთ.

2009 წლის 23 ნოემბერს გამოქვეყნდა „საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების პოლიტიკური

პატიმრების და პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირების შესახებ ერთობლივი მემორანდუმი“, რომელსაც ექვსი პოლიტიკური პარტია და ხუთი არასამთავრობო ორგანიზაცია აწერდა ხელს. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ არ იყო წარმოდგენილი ბევრი ცნობილი ქართული უფლებადაცვითი ორგანიზაცია. ადვოკატი ლია მუხაშავერია თვლის, რომ მართალია, ცალკეული უფლებადაცვითი ორგანიზაციები საკმაო წარმატებით მუშაობენ, მაგრამ საქართველოში, სამუხაროდ, ჯერჯერობით არ მოხერხდა პოლიტიკური პარტიებისგან თავისუფალი, მხოლოდ უფლებადამცველთა და კვალიფიციური იურისტებით დაკომპლექტებული კომისიის შექმნა, რომელიც თითოეულ საქმეს შეისწავლიდა, კომპეტენტურ, მიუკერძოებელ დასკვნებს დანერდა და, აგრეთვე, კოორდინირებულად იმუშავებდა საერთაშორისო ორგანიზაციებთანაც. მისი აზრით, დაკავებულთა ეფექტურად დასაცავად და გასათავისუფლებლად აუცილებელია ამ პროცესისგან პოლიტიკური პარტიების ჩამოცილება.

საქართველოში პოლიტიკური პატიმრების არსებობას მხოლოდ ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია“ (FIDH) აღიარებს, რომელმაც შარშან შემოდგომაზე გამოაქვეყნა ანგარიში, სახელწოდებით „ეკლები ვარდების შემდეგ – პოლიტპატიმრები პოსტრევოლუციურ საქართველოში“, სადაც რვა პატიმრის საპილოტე საქმეა შესული (მერაბ რატიშვილი, დემურ ანთია, ჯონი ჯიქია, შალვა რამიშვილი, ნორა კვიციანი, მაია თოფურია, ომარ ქუცნაშვილი და რევაზ კლდიაშვილი), და ნათქვამია, რომ მათ FIDH – პოლიტიკურ პატიმრებად თვლის. „ეს ძალიან მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა, – ამბობს ლია მუხაშავერია. ის აერთიანებს ფრანგულენოვან უფლებადაცვით ორგანიზაციებს მთელ მსოფლიოში, ჰყავს ნობელიანტი წევრები“.

ქართველი უფლებადამცველები თვლიან, რომ პოლიტიკური ნიშნით დევნილთა გათავისუფლებაში დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლას. ამის გარეშე, იმ ადამიანთა დახმარება, ვინც პოლიტიკური აქტიურობის სანაცვლოდ ციხის საკნებში მოხვდა, წარმოუდგენელია. 

**გამოინერეთი ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ იგი
გამოსვლის დღეს
(ყოველ მეორე ოთხშაბათს)
თქვენთვის სასურველ მისამართზე**



ლიბერალი

6 ნომერი (3 თვე) – 16,80 ლარი
13 ნომერი (6 თვე) – 36,40 ლარი
25 ნომერი (1 წელი) 70 ლარი

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე:
23 37 31, (899) 48 62 41
ან მოგვანოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია
ელ-ფოსტით: info@liberali.ge



საზოგადოება

„სიმართლის“ იმპორტი კავკასიაში

„პირველ კავკასიურს“ შეუძლია სერიოზული დისონანსი შეიტანოს კავკასიაში, თუ ის სატელიტზე დაბრუნდება და რუსულ პროპაგანდას ქართულს არ დაუპირისპირებს.

სოფო ბუკია



■ „პირველი კავკასიურის“ სტუდია, თბილისი 2010

პირველივე სიუჟეტში, რომელიც ეთერში გავიდა, „პირველი კავკასიური“ ამტკიცებდა, რომ ეს არხი ანტირუსული და პროპაგანდისტული არ იქნება. ამავე სიუჟეტში ახალი არხის ჟურნალისტები რიგრიგობით განმარტავდნენ, რომ მათი მუშაობა არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული.

სიუჟეტი ასე დაიწყო: „ჯერ კიდევ კარგა ხნით ადრე, ვიდრე „პირველი კავკასიური“ მაუწყებლობას დაიწყებდა, ბოროტი ენები ადანაშაულებდნენ თბილისის ანტირუსული არხის შექმნაში. რუსული მედია ჩვენ არხს ყველა საშინელ ცოდვას მიაწერდა, მათ შორის იმასაც, რომ ჩვენ უკან ოლიგარქები დგანან“. საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი გია ჭანტურია კი ამბობდა: „ხალხი გაიგებს ისეთ ფაქტებს, მათ შორის ისტორიულ ფაქტებსაც, რომლებსაც ვერც ერთ სხვა არხზე ვერ გაიგებენ, მით უმეტეს – რუსულ არხებზე. ჩვენ კავკასიის ხალხს ვემსახურებით“.

„პირველი კავკასიური“ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბაზაზე შეიქმნა. როგორც არხის ხელმძღვანელობა ამბობს, მისი შენახვა 2010 წელს 3 მილიონი ლარი დაჯდება. ეს თანხა არც ისე ცოტაა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისთვის, მაგრამ მწირია არხის ამბიციურ მიზანთან შედარებით.

არხის მთავარი პროდიუსერი ზურაბ დვალი „პირველი კავკასიურის“ მთავარ მისიად „კავკასიელ ხალხთა რეინტეგრაციას და სტერეოტიპების დანგრევას“ ასახელებს. არხის ხელმძღვანელები ამბობენ: რეგიონში „ჩვენი სიმართლით“ გავალთ.

„ჩვენი ჩრდილოკავკასიელი მეგობრები, აფხაზები, ოსები, გვეუბნებოდნენ, – ქართველებო, ნუ დაივინყებთ თქვენ ისტორიულ ფუნქციას. თბილისი ისტორიულად კავკასიის დედაქალაქი, ცენტრი იყო. ჩრდილოეთ ოსეთში სამხრეთ ოსეთს არასდროს აღიქვამდნენ ერთიანი ოსეთის ნაწილად. ეს სულ რუსული პროპაგანდის შედეგია. ვცდილობთ, რომ კი არ დაფუპირისპირდეთ იმას, რასაც აკეთებს რუსეთი, არამედ ჩვენი სიმართლით, ჩვენი პოზიციით გავიდეთ ეთერში იმ ენაზე, რომელიც მათთვის გასაგებია. ამას, პირველ რიგში, საინფორმაციო გამოშვებების წყალობით ვაკეთებთ, რომელიც აბსოლუტურად ნეიტრალურია“, – ამბობს ზურაბ დვალი.

„რადიო თავისუფლებამ“ და „ამერიკის ხმამ“, რომლებიც კომუნისტების დროს მაუწყებლობდნენ, გარკვეული როლი ითამაშეს საბჭოთა კავშირის დანგრევაში. ამას ისინი ძალიან ნიჭიერად აკეთებდნენ, პროპაგანდის გარეშე „თავის მუსიკას“

გვასმენინებდნენ“. – ამბობს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი დავით კანდელაკი.

ტელეკომპანია, რომელმაც პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსული პროპაგანდა „სიმართლით“ უნდა დაამარცხოს, და რომელსაც კრემლმა ღია ბრძოლა უკვე გამოუცხადა, „ქართული ფილმის“ კინოსტუდიის ყოფილ ოფისში რამდენიმე ოთახს იკავებს.

„პირველი კავკასიურის“ ყველა გადაცემა პირდაპირ ეთერში ერთადერთი სტუდიიდან გადის. პროგრამების დეკორაციები ერთ ოთახში კომპაქტურადაა განთავსებული და ერთმანეთისგან ტიხრებით გაყოფილი. ჟურნალისტები დეკორაციებსა და კედელს შორის დარჩენილ ვიწრო დერეფანში გადაინა, რომ მთავარ „ნიუსრუმში“ მოხვდნენ.

„დაუშვებელია: მარიონეტული, ოკუპანტი, ოკუპირებული, სეპარატისტი, ბანდიტი, ტერორისტი, სამხრეთი ოსეთი, ჩრდილოეთი ოსეთი. უნდა ვთქვათ: კონფლიქტის მონაწილე, კონფლიქტის რეგიონი, შეიარაღებული, ოსეთის სამხრეთი რეგიონი, ოსეთის ჩრდილოეთი რეგიონი“, – ეს წესები იმ ოთახშია გაკრული, სადაც ჟურნალისტები ახალ ამბებს ამზადებენ. იქვეა აბრა წარწერით „ჩვენთან არ ენევიან“.

თუმცა, ირგვლივ სიგარეტის ბულია, 4 თებერვალს შვიდსათიან საინფორმაციო გამოშვებაში კი ვისმენთ: „რუსეთი ბლოკავს „პირველ კავკასიურს“ და ამავდროულად ცხინვალის რეგიონში თავის მედიას აძლიერებს. რუსული ტელესიგნალი უკვე სეპარატისტული რეგიონის 80 პროცენტზე ვრცელდება. სეპარატისტების ლიდერი ედუარდ კოკოითი პირობას დებს, რომ რუსული ტელეარხები მალე რეგიონის მთელ ტერიტორიას მოიცავს“.

ხმაური მოსკოვში „პირველი კავკასიური“ არხის იდეის გაჩენისთანავე დაიწყო. არხს მაშინვე ფაშისტური უწოდეს და მისი საკითხი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროშიც განიხილეს. სწორედ რუსეთის ჩარევით ხსნიან „პირველი კავკასიურის“ დამფუძნებლები იმას, რომ ორკვირიანი მაუწყებლობის შემდეგ ფრანგულმა ფირმა „ეუტელსატმა“ „პირველი კავკასიური“ თანამგზავრიდან გაათიშა, კონტრაქტის პირობების შეცვლა და სხვა სიხშირეზე გადასვლა შესთავაზა. მიზეზად ტექნიკური პრობლემები დასახელდა. საქმეს პარიზის სასამართლო განიხილავს, არხი კი სატელიტიდან კვლავ გათიშულია.

სატელიტური ოპერატორი „ეუტელსატ“ კერძო კომპანიაა, რომელთანაც საქართველოს საზოგადოებრივმა

მაუწყებელმა ხელშეკრულება 12 იანვარს გააფორმა. ხელშეკრულების პირობების თანახმად, ქართული ტელეარხი ამ კომპანიის კუთვნილ თანამგზავრზე – W7-ზე განთავსდებოდა.

„პირველი კავკასიურისთვის“ ეს იდეალური პირობები იყო. თანამგზავრ W7-ის სიგნალი მთელ კავკასიას, რუსეთის ევროპულ ნაწილს და პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა რეგიონებს ფარავდა.

უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამავე თანამგზავრზეა განთავსებული ძირითადი რუსული არხები, რაც გარკვეულწილად დააზღვევდა „პირველ კავკასიურს“ მოსალოდნელი რუსული დივერსიისგან: მოსკოვი, სადაც არხის მიმართ უკმაყოფილებას აღარ მაღავენენ, ვერ ჩაახშობდა ამ თანამგზავრზე ქართული ტელეკომპანიის სიგნალს, რადგან, ასეთ შემთხვევაში, საკუთარი არხების გათიშვაც მოუხდებოდა.

ფრანგული გაზეთი „ლე მონდი“ წერს, რომ კომპანია „ეუტელსატმა“ უფრო შეძლებული კლიენტი იშოვა – რუსული კომპანია „გაზპრომედია“, რომელთანაც „ეუტელსატმა“ ამ დღეებში გააფორმა

დადგება“, – თქვა რუსეთის მთავრობის ერთ-ერთმა ყველაზე მწვავე ოპონენტმა ვალერია ნოვოდვორსკაია.

ერთ-ერთი გამაღიზიანებელი ფაქტორი რუსეთის ხელისუფლებისთვის არხის საინფორმაციო პოლიტიკა გახდა. „პირველი კავკასიურის“ ახალ ამბებს დიდწილად ჩრდილოეთ კავკასიის შესახებ ცნობები შეადგენს. ინფორმაცია, რომელიც „პირველ კავკასიურზე“ ჩრდილოეთ კავკასიის შესახებ გადის, არც ერთ რუსულ ტელეარხზე არ ხვდება – ჩრდილოეთი კავკასია, რომელიც პუტინის პირად პიარ-პროექტადაა მიჩნეული, ერთ-ერთი ყველაზე ტაბუდადებული თემა რუსულ მედიასივრცეში.

წლების განმავლობაში რუსულ საინფორმაციო საშუალებებში ჩრდილოეთი კავკასიის შესახებ მხოლოდ ორი სახის ინფორმაცია ვრცელდებოდა. პირველი – მშვიდობიან, 90-იანი წლების შემდეგ ფეხზე დამდგარ და აღორძინებულ კავკასიაზე, სადაც აღმშენებლობის პროცესი გრძელდება; და მეორე, კავკასიაზე, სადაც დღემდე დათარეშობენ ტერორისტები და ბო-



„პირველი კავკასიურის“ სტუდია, თბილისი 2010

ფოტო: ილია ბაჩუაშვილი

კონტრაქტი. საქართველოში აკრედიტებულ ერთ-ერთ ფრანგ დიპლომატზე დაყრდნობით, კიდევ ერთი ფრანგული გამოცემა „ფიგარო“ წერს, რომ კრემლი წარმოუდგენელ ზენილას ახორციელებს „ეუტელსატზე“, რათა მან ქართულ არხთან კონტრაქტი გააუქმოს.

„რაც ფრანგებმა ერთი დოქი ნავთობისა და ერთი ბალონი გაზის გამო გააკეთეს, ვფიქრობ, არ შეამკობს ფრანგული რესპუბლიკის ისტორიას. ეს ამაზრუნენი და მუხანათური ღალატი იყო და ისტორიულ კონტექსტში ვიშის რეჟიმის გვერდით

ევიკები, რომელთა გასანადგურებლადაც ფედერალური კონტროლის გამკაცრება და მუდმივი კონტრტერორისტული ოპერაციები გამართლებულია.

„პირველი კავკასიური“ არხის ხელმძღვანელობის თქმით, ჩრდილოეთ კავკასიაში კორესპონდენტთა დიდი ქსელი ჰყავთ: ვლადიკავკასიაში, მაჰაჩკალაში, გროზნოში, ნაზრანში. როგორც არხის ერთ-ერთი თანამშრომელი ჰყვება, ჟურნალისტები ჩრდილოეთ კავკასიიდან „პირველ კავკასიურს“ მხოლოდ კადრებსა და ზეპირ ინფორმაციას აწვდიან. „ამ კორესპონ-

დენტების ვინაობა გასაიდუმლოებულია, რადგან მათთვის „პირველ კავკასიურზე“ მუშაობა უსაფრთხო არ არის, პრობლემები ექნებათ. ზოგი საკუთარ ოჯახსაც უმაღლავს, რომ „პირველი კავკასიურისთვის“ მუშაობს.

რუსი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კრემლს ყველაზე მეტად აღიზიანებს „პირველი კავკასიურის“ მხრიდან სწორედ ამ რეგიონის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი.

ასევე, „პირველ კავკასიურზე“ გადაცემების წამყვანებად გამოჩნდნენ პუტინის მთავრობისადმი უარყოფითად განწყობილი ოლეგ პონფილოვი და დამოუკიდებელი ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტის მიუღწევი ალა დუდაევა. ასევე, „პირველ კავკასიურზე“ საეთერო დრო რუსეთში პერსონა ნონგრატად გამოცხადებული კინოდოკუმენტალისტის ანდრეი ნეკრასოვის ნამუშევრებს ეთმობა. რუსეთში, დიდი ხანია, აკრძალულია მისი ფილმები 1999 წელს მოსკოვში მრავალსართულიანი სახლების აფეთქებასა და ლონდონში ალექსანდრ ლიტვინენკოს მკვლელობის საქმეში ფე-ეს-ბეს კვალზე.

ზურაბ დვალის განცხადებით, არხის მიერ სათქმელი „სიმართლე“ ზუსტადაა აღწერილი რუსი რეჟისორების ოლგა კონსკაიასა და ანდრეი ნეკრასოვის ფილმში „რუსულის გაკვეთილები“, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის განვითარების ისტორიას აღწერს. მისი თქმით, სწორედ შეიარაღებული კონფლიქტის დროს გამოჩნდა „პირველი კავკასიურის“ შექმნის აუცილებლობა, რადგან ქართული პოზიციის მსოფლიო აუდიტორიისთვის მიწოდება მაშინ მხოლოდ ინგლისურ ენაზე მოხერხდა. საქართველოსთვის მნიშვნე-

– ამბობს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ლევან გახელაძე, „ღია, გებელსის, პირდაპირი პროპაგანდით მუშაობა საერთოდ არაა 21-ე საუკუნეში პოპულარული. ეს არასერიოზულია. ჩვენ გვინდა რუსეთის, კავკასიის, შუა აზიის მოსახლეობას ვაჩვენოთ ჩვენი სახელმწიფოს და საზოგადოების დემოკრატიული და ლიბერალური განვითარება“.

რუსულენოვანი, ღია პროპაგანდისტული არხის შექმნის გამოცდილება საქართველოს ხელისუფლებას უკვე აქვს. ტელეკომპანია „ალანია“, რომელიც საქართველოს ხელისუფლების პროექტი იყო, სამხრეთი ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის მოსახლეობისთვის ოფიციალური თბილისის პოზიცია უნდა მიეწოდებინა, რაც ამ რეგიონში რუსული პროპაგანდის საპირწონე იქნებოდა.

„ცხინვალში „ალანია“ ეს ფუნქცია არაა შეასრულა, პირიქით, უკურეაქცია გამოიწვია. მოვლენებს ცალმხრივად აშუქებდნენ, ოსებს სეპარატისტებს უწოდებდნენ, კოკოთის მასხრად იგდებდნენ. „ალანია“ აგრესია მათშიც გამოიწვია, ვინც კოკოთის ვერ იტანდა. ბევრი, პროტესტის ნიშნად, ამ არხზე ფილმებსაც არ უყურებდა“, – ამბობს „ლიბერალთან“ საუბარში ოსი ჟურნალისტი ცხინვალიდან.

ზურაბ დვალი, ისევე როგორც „პირველი კავკასიურის“ საინფორმაციო სამსახურის ჟურნალისტების უმრავლესობა, ტელეკომპანია „ალანია“ ყოფილი თანამშრომელია.

კავკასიური არხის მომზადების 4-თვიანი დახურული პროცესის შესახებ საზოგადოების მხოლოდ ვიწრო წრე იყო ინფორმირებული. თავად იდეა, როგორც ლევან

გროზნოში, მაგრამ კვლევა ჩავატარეთ ჩვენ მეგობრებთან, დიასპორებთან, იმ კავკასიელების შრეში, რომლებიც ევროპის სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ. პირადი საუბრებით“.

„ეს არხი არ მინახავს. მე, პირადად, სკეპტიკურად ვუყურებდი ამ არხის იდეას. მოუყვე კავკასიელებს, როგორ ცხოვრობენ ისინი? გაუგებარი მიზანია. მათ ხომ ისედაც იციან, როგორ ცხოვრობენ. საინტერესოა, მაგრამ სწორედ ეს სახელდება არხის მთავარ მიზნად“, – ამბობს „ლიბერალთან“ ინტერვიუში ჩეჩნეთის პრეზიდენტის რამზან კადიროვის თანაშემწე თიმურ ალიევი. ჩრდილოკავკასიელ ლიდერებს „პირველ კავკასიურთან“ დაკავშირებით კომენტარები არ გაუკეთებიათ.

„ლიბერალის“ ჩრდილოკავკასიელი კორესპონდენტები ჰყვებიან, რომ ჯერჯერობით ამ არხის არსებობის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ მათ აქვთ, ვინც ინტერნეტში ახალ ამბებს კითხულობს.

„პირველ კავკასიურს“ მართლაც შეეძლო კავკასიაში რუსეთის მიერ მართულ საინფორმაციო სივრცეში სერიოზული დისონანსი შეეტანა. თუმცა, არხი, რომელსაც მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცე უნდა მოეცვა, დღეს მხოლოდ თბილისში მაუწყებლობს და მაყურებლების რაოდენობას ინტერნეტმომხმარებლების მიხედვით ითვლის. „საშუალოდ, 1 მილიონი უნიკალური მომხმარებელი შედის ყოველდღე ვებგვერდზე“, – ამბობს ლევან გახელაძე. თუმცა, ქართული სტატისტიკური ვებგვერდის „Top.ge“-ს მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 4500-დან 5000 მომხმარებლამდე მერყეობს.

არხის ხელმძღვანელობა მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებს ამერიკულ კომპანიასთან თანამგზავრზე სიხშირის მოსაპოვებლად. თუ „გაზპრომედია“ მოულოდნელად ამ თანამგზავრითაც არ მონდომებს საკუთარი არხების გაცვლევას, „პირველი კავკასიური“, საგარაუდოდ, თავის აუდიტორიას დაიბრუნებს.

თუმცა, თუ „პირველი კავკასიურის“ ჟურნალისტები საკუთარ ნიუსრუმში გამოკრულ წესებს ხშირად დაარღვევენ და, ინფორმაციის მიწოდების ნაცვლად, მხოლოდ „ჩვენი სიმართლის“ გავრცელებით დაკავდებიან, არის საფრთხე, რომ არხი მეორე „ალანია“ იქცეს. ასეთ შემთხვევაში, „პირველი კავკასიური“ რუსეთის ჩარევის გარეშე, ავტომატურად დაკარგავს თავის მთავარ აუდიტორიასა და მიზანს. **■**

■ „ვცდილობთ, რომ კი არ დაუზპირისპირდეთ იმას, რასაც აკეთებს რუსეთი, არამედ ჩვენი სიმართლით გავიდეთ ეთერში“.

ლოვანი რუსულენოვანი მოსახლეობა კი რუსული არხების პროპაგანდის ანაბარა დარჩა.

რუსეთ-საქართველოს ომის ქართული ვერსიის გავრცელება არხის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, რომელიც რადიკალურად უპირისპირდება რუსეთის ინტერესებს რეგიონში და იმის მიზეზიც, თუ რატომ შეიძლება არ მოსწონდეთ ეს არხი მოსკოვში.

„ომის დროს დიდი წვალებით გვიხდებოდა ჩვენი ინფორმაციის გატანა. და ნუ მეტყვი, რომ ომის დროს ცოტა პროპაგანდისტულ რეჟიმში არ უნდა იმუშაო“,

გახელაძე განმარტავს, ბევრ ადამიანს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჰქონდა, საბოლოოდ კი მისი და გია ჭანტუარიას თაოსნობით განხორციელდა. ზურაბ დვალის თქმით კი: „გადანწყვეტილება იყო მიღებული, ცნობილი ამბავია, პრეზიდენტის დონეზე. დიდი ხანია, ქართული საზოგადოება იყო მომნიშვნეული ასეთი არხის გასაკეთებლად“.

მისივე ნაამბობით, არხის შექმნამდე მნიშვნელოვანი წინასწარი სამუშაოებიც ჩატარდა: „კვლევა, რა თქმა უნდა, ჩავატარეთ. რა თქმა უნდა, არ ჩავსულვართ



ილუსტრაცია: თბილისის საზოგადოებრივი ცენტრი / თბილისის საზოგადოებრივი ცენტრი

განათლება

ბინდათ კატრიოტები? ასწავლით სამოქალაქო განათლებას

სექტემბრიდან სასკოლო კურიკულუმში უკვე ორი საგანი იქნება, რომლებიც დაიწყება ერთი და იგივე სიტყვით – სამოქალაქო. რა უნდა ასწავლოს და რას ვერ ასწავლის ბავშვებს საგანი – სამოქალაქო განათლება.

რუსუდან ფანოზიშვილი

„მე სამედიცინოზე ვაბარებ, იურიდიულზე კი არა, სამოქალაქო განათლება რაში მჭირდება?“ – ვერ ხვდება 51-ე სკოლის მეთერთმეტეკლასელი ბიჭი. მისი ზოგიერთი თანატოლი კი, თუ გაკვეთილზე შედის, ქართულის მართლწერის ტესტებში ვარჯიშობს, ანდა ელექტროლუმელთან გაფანტული გამომეტყველებით ზის.

საჯარო სკოლებში ამ საგნის პირველი ჩანასახი დაახლოებით 10 წლის წინ გაჩნდა, სავალდებულო საგნების ნუსხაში 3 წლის წინ შევიდა, თუმცა სამოქალაქო განათლების გაკვეთილები ვერც მოსწავლეებისთვის და ვერც მასწავლებლებისთვის სათანადოდ მნიშვნელოვანი ვერ გახდა.

„სამოქალაქო განათლების გაკვეთილები იმიტომ მოგეწონს, რომ ჩვენი მასწავლებელი კომუნისტურ დროში არ არის ჩარჩენილი. სხვებთან შედარებით, გაგვიმართლა. მას შეიძლება ყველაფერი ვკითხოთ და, კითხვებზე პასუხს როგორც საჭიროა, ისე გვცემს“, – ამბობს ნინო გოლიაძე, 161-ე სკოლის მეთერთმეტეკლასელი.

მეცხრე კლასის სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოში, მაგალითად, ქვეთავი „ტოლერანტობის“ შესახებ ცნების ზოგადი განმარტებით იწყება, რასაც მარტინ ლუთერ კინგის გამოსვლის, ილია მეორის საშობაო ეპისტოლესა და ილია ჭავჭავაძის წერილის ნაწყვეტები აგრძელებს. ამ თემაზე ერთ-ერთი დავალება კი ასეთია: ტოლერანტობის დღესთან დაკავშირებით კლასში მოაწყვეთ რაიმე ღონისძიება, მაგალითად ნახატების ან პლაკატების გამოფენა, კონცერტი.

„საზოგადოება ამ ბავშვებს არ აღიქვამს როგორც დიდებს, ამ დროს დიდები არიან და ბევრი დაულაგებელი, განუმარტავი ინფორმაცია აქვთ. მათ უფრო მეტი სჭირდებათ, ვიდრე დღევანდელი სამოქალაქო განათლების გაკვეთილებია“, – აღნიშნავს ანის მასწავლებელი სერგო ძაგნიძე.

სამოქალაქო განათლება ცალკე სავალდებულო საგნად მე-9 და მე-10 კლასებში ისწავლება. მეცხრე კლასამდე სხვა საგნების პედაგოგებს ამ დისციპლინიდან მხოლოდ გარკვეული

საკითხების ახსნა ევალებათ, ბოლო კლასებში კი საგანი არჩევითია.

„მამინ, როცა 15-16 წლის ახალგაზრდებს მოქალაქედ ჩამოყალიბების ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი უდგათ, როცა ისინი ემზადებიან პირადობის მონმობის აღებისთვის და

■ „პატრიოტი, კანონმორჩილი, თავისუფლება-მოვალეობების მცოდნე და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის, აქტიური, თავისუფალი, მშვიდობისმოყვარე, დამოუკიდებელი და კომპეტენტური პიროვნების აღზრდა“, – სიტყვასიტყვით ასეთია სამოქალაქო განათლების მიზანი.



WWW.LIBERALI.GE

სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართვის-თვის, კარგი იქნებოდა, თუ ამ საგანს ყველა ისწავლიდა. მაგალითად, ყველას გამოადგებოდა იმის ცოდნა, თუ როგორ მოამზადონ საბუთები უნივერსიტეტისთვის“, – აცხადებს სამოქალაქო განათლების ერთ-ერთი სახელმძღვანელოს ავტორი, თამარ ქალდანი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიგი თევზაძე მიიჩნევს, რომ საჯარო სკოლებში საგნის არჩევითობა ქართული საზოგადოების ტიპზეც მიუთითებს – „გამოდის, რომ ის ღირებულებები, რომლებიც სამოქალაქო განათლებიდან იწყება, საქართველოში მთლიანობაში არჩევითია“, – აღნიშნავს ის და დასძენს, რომ „როცა ბავშვებს სკოლაში ფორმალურად რელიგიის თავისუფლებაზე ველაპარაკებით, კლასის გარეთ კი ხატის კუთხეებია მონყობილი, მაშინ გულუბრყვილობაა, გვეგონოს, თითქოს ეს სწავლება რამეს შეცვლის“, – ამბობს გიგი თევზაძე.

ზედაპირულობა და ზოგ შემთხვევაში პრიმიტიულობაც სახელმძღვანელოების მთავარი ნაკლია. მხოლოდ შემოქმედებითად მოაზროვნე მასწავლებელი თუ შეძლებს ერთ გვერდში ჩატეული მწირი ინფორმაცია, მაგალითად არჩევნების ზოგადი არსის და საქართველოში გავრცელებული არჩევნების ტიპების შესახებ, მოსწავლეებს საინტერესოდ მიაწოდოს.

70 ათას პედაგოგს შორის სულ 3 ათასია ისეთი, ვინც ამ საგნის სასწავლებლად გადაემზადა. პროფესიულ გადამზადებაში სულ რამდენიმედღიანი ტრენინგი იგულისხმება. გადამზადებულთა უმეტესობა ისტორიის მასწავლებელია და, პარალელურად, სკოლებში თავის ძირითად საგანსაც ასწავლის, რადგან კვირაში მხოლოდ ერთი სამოქალაქო განათლების გაკვეთილი ვერ იცხოვრებ.

„მათ უნდა ესმოდეთ, რომ ამ საგნის დანიშნულება ბავშვებისთვის პრაქტიკული უნარების გამოიმუშავებაზე ზრუნვაა და არა იმ თეორიების ახსნა, თუ რას შეისწავლის ზოგადად სამოქალაქო განათლება“, – აცხადებს მასწავლებელთა დამოუკიდებელი პროფკავშირების სამოქალაქო განათლების ექსპერტი მაია გოგოლაძე.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის წარმომადგენელი გიორგი გახელაძე კი მიიჩნევს, რომ სახელმძღვანელოების დახვეწა-

სა და მასწავლებელთა მომზადებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია სკოლის რეალური დემოკრატიზაცია და დეპოლიტიზაცია. „თუნდაც გვყავდეს საუკეთესო მასწავლებლები, გვექონდეს შესანიშნავი სახელმძღვანელოები, იყოს ბევრი სავალდებულო გაკვეთილი, თუ მოსწავლეს არ აქვს მაგალითად სკოლის დამოუკიდებელ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობა, სამოქალაქო განათლების გაკვეთილები ფუჭია“, – აცხადებს გახელაძე.

„სადმე გინახავთ, რომ სიგარეტი ან ალკოჰოლი არ მიეყიდოთ მცირეწლოვანისთვის? ან ამის გამო, ვინმე დაეჭიროთ? ბავშვები ყოველ ფეხის ნაბიჯზე უკანონობას ხვდებიან“, – აცხადებს ერთ-ერთი სახელმძღვანელოს ავტორი ნინო ერემაშვილი, რომელიც მიიჩნევს, რომ საზოგადოებას სკოლის გაკვეთილები მყისიერად ვერ შეცვლის, თუმცა ამ საგნის გაძლიერება მნიშვნელოვანია: „სკოლებში უსაფრთხოების მიზნით პროკურატურის წარმომადგენლებისა და პოლიციელების ლექციებს რა მიზანიც აქვს, გასაგებია, თუმცა მხოლოდ პროკურორი ვერაფერს იზამს, თუ სამოქალაქო შეგნებაზე არ დაინყეს ზრუნვა“, – დასძენს ერემაშვილი.

ამ ფონზე საჯარო სკოლებში პრეზიდენტის ინიციატივით ახალი საგანი შემოიღეს. იანვრიდან მოყოლებული განათლების მინისტრი და თითქმის მთელი მთავრობა იმით არის დაკავებული, რომ საზოგადოებას აუხსნას, რატომ არის აუცილებელი სკოლაში სამხედრო პატრიოტული სწავლება და რატომ არ იქნება ეს საგანი იდეოლოგიზირებული.

„პატრიოტი, კანონმორჩილი, თავისუფლება-მოვალეობების მცოდნე და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის, აქტიური, ღირსეული, თავისუფალი, მშვიდობისმოყვარე, დამოუკიდებელი, კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი პიროვნების აღზრდა“, – სიტყვასიტყვით ასეთია სამოქალაქო განათლების მიზანი. თუ სამოქალაქო განათლების უფრო ეფექტიანად სწავლებით ამ მიზნების მიღწევა მართლაც შესაძლებელია, მაშინ პრეზიდენტის ახალი ინიციატივა სამხედრო-პატრიოტული განათლების შესახებ კიდევ უფრო გაუგებარი ხდება. ■

ტურიზმი საქართველოში

14 ტუალეტი და ევროინტებრასია

გაზაფხულზე საქართველოში ჩამოსულ ტურისტებს ავტობანებზე 14 ახალთახალი ტუალეტი დახვდებათ. ამისთვის საჭირო გახდა, რომ ტურიზმისა და კურორტების სამინისტროს სპეციალური მემორანდუმი გაეფორმებინა ნავთობის იმპორტიორთა და რეალიზატორთა ასოციაციასთან.

მარკა ქოჩიაშვილი

რადიო „ნაცნობის“ ეთერში კორკოტას ერთ-ერთი დილა ქუთაისურ ტუალეტზე ხუმრობით დაიწყო. ტუალეტის კარზე წერია თურმე: „მოშარდვა – 50თ. ვარესი – 80თ“. სულ რამდენიმე თვეში ამ ტუალეტს, შესაძლებელია, კლინტი აღარ ჰყავდეს. 20 აპრილამდე ოთხიდან ორი ნავთობკომპანია – „ლუკოილი“ და „ვისოლი“ ქუთაისში ახალ ტუალეტებს ააშენებს, რომელიც მომხმარებელს უფასოდ მოემსახურება. უფასო იქნება „მოშარდვა“ და ვარესიც“, ხელის საპნით დაბანაც; თანაც ტუალეტებს ცალ-ცალკე შესასვლელი ექნება – მამაკაცებისთვის და ქალებისთვის. მემორანდუმის თანახმად, სანიტარული კვანძების მინიმალური ზომა 16 კვ.მ. უნდა იყოს. ფერზე შეთანხმება არ არსებობს, მაგრამ არ არის გამორიცხული, ტუალეტების ფერები ბრენდების ფერების შესაბამისი იყოს. ერთი ტუალეტის მშენებლობა ამ კომპანიებს საშუალოდ 4000 ლარზე ძვირი არ უნდა დაუჯდეთ.

მემორანდუმი გასული წლის ოქტომბრიდან შევიდა ძალაში. ამის შემდეგ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა მთელი საქართველოს მასშტაბით შეისწავლა ცენტრალურ მაგისტრალზე ტუალეტების მდგომარეობა. აღმოჩნდა, რომ ტუალეტები თითქმის ყველა ბენზინგასამართ სადგურთანაა, თუმცა აზიური ტიპის საპირფარეოების უმრავლესობა ისეთი ბინძურია, რომ ტურისტებს იქ შესვლას მომდევნო კვანძამდე მოთმენა, ან სულაც შინ – ევროპაში დაბრუნება ერჩიათ.

„ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ტუროპერატორებთან და მათ იციან, რა ანუხებით მომხმარებლებს. ასევე ვატარებთ კვლევებს უცხოელ ვიზიტორებზე. ტუალეტების მდგომარეობა ერთ-ერთი უპირველესი პრობლემაა“, – აცხადებენ ტურიზმის დეპარტამენტში. სწორედ ამ სახელმწიფო უწყებაში გაჩნდა საქართველოს ავტომაგისტრალზე ახალი „ევროპული სტანდარტების“ შესაბამისი ტუალეტების მშენებლობის იდეა.

იმის გათვალისწინებით, თუ რის ნახვა აინტერესებთ ძირითადად უცხოელებს საქართველოში, ტუალეტებისთვის პრიორიტეტული წერტილები დადგინდა. მათ შორის არის სიღნაღი, დმანისი – ტურისტების არქეოლოგიური გათხრებით დაინტერესების გამო, ბორჯომი, ამბროლაური და ა.შ. – ძირითადად დასავლეთის ავტომაგისტრალი და გზაკახეთის მიმართულებით. შერჩევასას პრიორიტეტული ის ბენზინგასამართ სადგურები იყო, რომელთაც უკვე აქვთ გარკვეული ინფრასტრუქტურა მაქსიმალური კომფორტის შესაქმნელად. იგულისხმება, რომ ტუალეტის გარდა მგზავრებს მაღაზია და კაფეც მოემსახურება.

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის ბექა ჯაყელის თქმით, ახალ ტუალეტებში ყველა ის ატრიბუტი იქნება, რომელიც ტურისტების ყველა მოთხოვნას და

აკმაყოფილებს და გაზაფხულზე, როცა კულტურული და სათავგადასავლო ტურიზმით დაინტერესებული უცხოელების ვიზიტის სეზონი დაიწყება, ეს პრობლემა უკვე მოგვარებული იქნება.

ტურიზმის დეპარტამენტმა კი ამ პროექტის დასრულებამდე უკვე ახალ პროექტზე დაიწყო მუშაობა. გარდა გზებისა, მნიშვნელოვანია საპირფარეოების მშენებლობა კულტურულ ძეგლებთან, ისეთ ადგილებში, რომლებსაც ტურისტები ყველაზე ხშირად სტუმრობენ. „მუშაობთ სქემაზე, როგორ უნდა მოხდეს მისი ადმინისტრირება და ვინ უნდა გააკეთოს ეს. მალე ამასაც მივცემთ მსვლელობას“, – აცხადებს ბექა ჯაყელი.

კულტურულ ძეგლებთან აშენებული ტუალეტების ადმინისტრირებით ბიზნესმენი იმ შემთხვევაში დაინტერესდება, თუკი ფინანსური დაინტერესება ექნება. შესაბამისად, ეს ტუალეტები ფასიანი იქნება. რადგან სახელმწიფო სამუშაო ადგილების შექმნითაა დაინტერესებული, შესაბამისად, ეს პროექტი სახელმწიფოსა და ბიზნესმენის ერთობლივი თანამშრომლობით გაკეთდება, თუმცა შემდგომ ადმინისტრირებას უკვე ბიზნესი განახორციელებს.

ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, შესაძლებელია, ტუალეტების ბიზნესი ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანიც კი გახდეს საქართველოში. მანამდე კი, კეთილი ნებით 14 უფასო ტუალეტის მშენებლობა უკვე დაწყებულია და, სავარაუდოდ, ვადაზე ადრე დასრულდება. **□**

■ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა მთელი საქართველოს მასშტაბით შეისწავლა ცენტრალურ მაგისტრალზე ტუალეტების მდგომარეობა.



ფოტო ბაქას ქოჩიაშვილი



ფოტო: თინათინ ვარციხაძე

ახალი ინიციატივები ჯანდაცვაში

სწორი გადაწყვეტილებების ილუზია

ჯანდაცვაში პრეზიდენტის ახალი ინიციატივების ეფექტს მოქალაქეები საკუთარ თავზე იგრძნობენ, თუმცა შედეგი ხანმოკლე იქნება, რადგან ცვლილებები საკმარისად სისტემური არ არის.

თიკო ცომაია

საქართველოს პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის ახალი ინიციატივა სამ ძირეულ სიახლეს ითვალისწინებს: პირველი – 3 თვის განმავლობაში სადაზღვევო კომპანიებმა მთავრობასთან ხელშეკრულებები უნდა გააფორმონ და რეგიონებში საავადმყოფოს მშენებლობის ვალდებულება აიღონ. მეორე – ახალი სადაზღვევო პაკეტის მფლობელების დაზღვევის ვადა ერთი წლიდან სამ წლამდე უნდა გაიზარდოს.

მესამე – მედიკამენტების შექმნისას სახელმწიფომ წამლის ღირებულების 50 პროცენტი უნდა დააფინანსოს, თუმცა მხოლოდ იმ ადამიანებისთვის, რომლე-

ბიც უმწეოთა პროგრამაში ირიცხებიან.

„არ უნდა გვიკვებოდეს ადამიანი, იმის გამო, რომ მას არ აქვს წამლის ყიდვის ფული. მე მაქვს ამბიცია, რომ უახლოეს წლებში ჯანდაცვა გავხადოთ ხელმისაწვდომი და ისეთივე ხარისხის, როგორც ის არის ევროპულ ქვეყნებში“, – აღნიშნა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ახალი პროექტის სანახაობრივი ელემენტებით გაფორმებულ პრეზენტაციაზე. პრეზიდენტმა ზუსტად ჩამოაყალიბა ის, რაც ჯანდაცვის სისტემის მთავარი ამოცანა უნდა იყოს – ხარისხიანი ჯანდაცვა, რომელზეც ხელი ყველა ფენის ადამიანს მიუწვდება.

„ოფიციალურად გამოცხადებული პრინციპები მარწმუნებს, რომ ეს პროექტი მთლიანად წარუმატებელი იქნება. ჩვენ კიდევ უფრო დავშორდებით მთავარ მიზანს, რომელიც ხარისხიანი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაა“, – ამბობს ჯანდაცვის ექსპერტი თინა ტურძელაძე. იმისათვის, რომ ჯანდაცვა ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს, აუცილებელია, რომ არსებობდეს ხარისხიანი ჯანდაცვის სერვისები და ჩამოყალიბდეს მექანიზმი ამ სერვისების დასაფინანსებლად.

ჯანდაცვის მწვავე კრიზისის პირობებში კი, უმძიმეს მდგომარეობაშია ინფრასტრუქტურაც და ეს უხარისხო



საპროექტო სამუშაოების განხორციელება

სერვისებიც არაადეკვატურად ძვირია. ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე ზრუნვის დაწყება სადაზღვევო სისტემის დახვეწით, ქვეყნური სვლაა, რადგან დაზღვევა ეს ის ერთადერთი სოციალური მექანიზმია, რომელიც პაციენტებს ფინანსური დანახარჯების ანაზღაურების საშუალებას აძლევს.

თუმცა, სადაზღვევო სისტემის მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან. ექსპერტების მოსაზრებით, არსებობს იმის საფრთხე, რომ ფული, რომელიც ამ სფეროში ტრიალებს, სამედიცინო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად საკმარისი არ არის.

სხვა სარისკო ფაქტორების აღმოჩენა შეიძლება, თუკი ახალ პროექტს უფრო დეტალურად განვიხილავთ. მაგალითად, ცალსახად დადებითია ის, რომ დაზღვევა გრძელვადიანი ხდება. ეს სადაზღვევო კომპანიებს უჩენს უფრო მეტ ინტერესს, იმუშაონ დაავადებათა პრევენციაზე იმის ნაცვლად, რომ მხოლოდ პოსტ-ფაქტუმ აფინანსონ ჯანდაცვის მომსახურება. ეს სადაზღვევო კომპანიებს გაუადვილებს ღარიბთა დაზღვევასაც. 80 000 უმწეო ადამიანის

ერთნლიან დაზღვევაზე უზარმაზარი ადმინისტრაციული რესურსი იხარჯება.

თუმცა დაზღვევის ვადის გახანგრძლივება მხოლოდ უმწეოებს ეხებათ. ცვლილებები არ შეეხებათ თვით დაზღვეულებს და მათ, ვინც იაფი დაზღვევა შეიძინა.

„ეს არის პრობლემის ხანმოკლე გადაჭრის გზა, რომელიც მნიშვნელოვან პრობლემებს ვერ მოაგვარებს. რეფორმა გრძელვადიან შედეგებს იმ შემთხვევაში გამოიღებს, თუკი მოხდება კონტრაქტის გახანგრძლივება, მისი ავტომატური თვითგანახლება და პრემიუმის, ანუ პოლისის ღირებულების ზრდის რეგულირება. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ბავშვი რომ იზადება, ჯერ ფორთხვას სწავლობს და მერე სირბილს, განვითარების პროცესს ვერ გადავახტებით“, – აცხადებს ჯანდაცვის ექსპერტი გიორგი გოცაძე.

მისი თქმით, ერთნლიანი კონტრაქტის დროს სადაზღვევო კომპანია უარს ამბობს ქრონიკული დაავადებების მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებაზე. სადაზღვევოს ერთი სული აქვს, როდის მოიშორებს არასასურველ კლიენტს, რომლის მკურნალობაზეც

ბევრი ფული ეხარჯება. როცა ხანგრძლივი კონტრაქტი დაიდება, მოტივაციაც მეტი გაჩნდება, რომ პრევენციაზე იზრუნოს. რაც უფრო ნაკლებად გახდება ავად ადამიანი, მით მეტი ფული დაეზოგება კომპანიას.

ერთი შეხედვით, დადებითი ცვლილება რეგიონებში საავადმყოფოს მშენებლობის პროცესში სადაზღვევო კომპანიების ჩართვაც. მით უფრო, თუ ეს სურვილი ორმხრივია. სადაზღვევოები კარგი მენეჯერები არიან და საავადმყოფოების მართვასაც კარგად გაართმევენ თავს. ამასთან, დაზღვევა კატასტროფულად არ გაძვირდება, იმიტომ რომ სადაზღვევოები შეეცდებიან, სამედიცინო მომსახურება უფრო დაბალ ფასებში აწარმოონ.

თუმცა, მაინც რჩება ამკარა რისკი. 20-25-საწლიანი სტაციონარი, რაიონული მასშტაბის საავადმყოფოს ნიშნავს და თუ ის ერთი სადაზღვევო კომპანიის ხელში აღმოჩნდება, მფლობელი, შესაძლებელია, ადგილობრივ ბაზარზე მონოპოლისტად იქცეს. კონკურენციის შეზღუდვას მოჰყვება ფასის ზრდა, ამ დროს კი მცირდება ხარისხი და მომხმარებელიც დაიჩაგრება.

თუ მშენებლობა ინდივიდუალურად დაინწყება, სავარაუდოა, ცუდი შედეგები მივიღოთ. ამ რისკის თავიდან აცილება იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ სადაზღვევო სისტემა კოლექტიურად დაინწყებს საავადმყოფოების მშენებლობას.

თუმცა, ტურძელაძის აზრით, ყველაზე დიდი პრობლემა მაინც ის არის, რომ სამედიცინო სექტორში იკარგება პროფესიული დამოუკიდებლობა, ის, რაც ფარმაცევტულ სექტორში უკვე დაკარგულია. დაუშვებელია ერთი და იმავე ბიზნესჯგუფების ხელში მოექცეს წამლის წარმოება, წამლის დანიშვნა, მკურნალობა, ანაზღაურება და პაციენტის მკურნალობის ხარისხის კონტროლიც. „ჯანდაცვის ასეთი სისტემა საბჭოთა კავშირში არსებობდა, სადაც ყველა რგოლის დამგეგმავი, განმახორციელებელი და მაკონტროლებელიც მხოლოდ სახელმწიფო იყო. ახლა თითქოს ამ სისტემის აღდგენას ცდილობენ და თანაც ისე, რომ ადამიან-

ნის ფუნდამენტურ – ჯანმრთელობის უფლებაზე პასუხისმგებლობა, სახელმწიფოს ნაცვლად, სადაზღვევო ბიზნესს დააკისრონ. საფუძვლიანი დისკვნების გამოტანა, ვიდრე დოკუმენტი არ გამოქვეყნდება, რთულია, თუმცა, პირველადი შთაბეჭდილება ასეთია – ხელისუფლება ცდილობს პრობლემის გადავადებას და შემდგომ განტევების ვაცად სადაზღვევო კომპანიების გამოყენას“, – აღნიშნავს ტურძელაძე.

პროფესიული დამოუკიდებლობის დაკარგვა ექიმების მიმართ ნდობის დაკარგვასაც ნიშნავს. ექიმების უმეტესობა ფარმაცევტულ ფირმებთან გარიგების შემდეგ ნიშნავს წამლებს და არაოფიციალურ სარგებელსაც იღებს აქედან. მსგავსი რამ ან ადმინისტრაციულად ან სისხლის სამართლებრივად უნდა აიკრძალოს. ექიმები უნდა გათავისუფლდნენ ამ მანკიერი გარიგებისგან. სხვაგვარად ჯანდაცვის სისტემის გამოჯანმრთელება არ მოხდება.

ტურძელაძის აზრით, შესაძლებელია, საწყის ეტაპზე რაღაც რესურსების ხარჯზე შეიქმნას რეფორმის წარმატების ილუზია, მაგრამ ეს არ იქნება რეალური და მდგრადი, ვიდრე არ მოწესრიგდება ფარმაცევტული სექტორი.

საქართველოში ჯანდაცვის სერვისების ღირებულების 48-49% წამლებზე მოდის (მაშინ, როცა ამერიკაში წამლებზე მხოლოდ 12,9% იხარჯება, ევროპის ზოგიერ სახელმწიფოში კი – კიდევ უფრო ნაკლები), ამავე დროს ბაზარზე ძირითადად არაეკვივალენტური გენერიკები (წამლის ძირითადი ქიმიური შემადგენლობა) ვრცელდება.

„ფარმაცევტული ბიზნესის ჰოსპიტალურ ბიზნესში ინტეგრირების შემდეგ კი თავად სამედიცინო პერსონალი უწყობს ხელს წამლების არარაციონალურ გამოყენებას. ეს ნიშნავს, რომ ბაზარი ბოლომდე ექსპლუატირებულია, ჰიპერექსპლუატირებული საზოგადოება კი უუნაროა, დააფინანსოს ხარისხიანი სამედიცინო სერვისები. ბევრი ფულიც რომ ჰქონდეს სახელმწიფოს, რას დააფინანსებს – არარაციონალურად დანიშნულ, მონოპოლური ფასების მქონე, არაეკვივალენტურ გენერიკებს? თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ეს ხელისუფლების და ბიზნესის დაწაფილბერივი გარიგება იქნება“, – აღნიშნავს ტურძელაძე.

სუსტია სამედიცინო დაწესებულებების მმართველთა ჯგუფიც. კარგი მენეჯერი, რომელიც ეფექტურად მართავს სამედიცინო დაწესებულებას, ცოტაა. მენეჯერები, როგორც წესი, არა რესურსების ეფექტური გამოყენების ხარჯზე აღწევენ წარმატებას, არამედ კატასტროფულად მაღალი ფასებით მომსახურებაზე. საქართველოში კრიტიკული მდგომარეობაა კადრების მხრივაც, ფიზიკურად არ არის ისეთი ინტელექტუალური მასა, რომელიც ჯანდაცვის დაზღვევის სისტემის აწყობას შეძლებს, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა ერთ კომპანიას, არამედ ჯანდაცვის სისტემას მთლიანად. განათლების სისტემა კი არ ამზადებს კადრებს იმ პრიორიტეტული დარგისთვის, სადაც დასაქმება წარმატებით შეიძლება.

ინიციატივის დადებითი მხარე სადაზღვევო პაკეტში სახელმწიფოს მიერ თანადაფინანსებული ამბულატორიული წამლის კომპონენტია.

თუმცა, ესეც მხოლოდ სწორი დაგეგმარების და მკაცრი ადმინისტრირების პირობებში იქნება ეფექტური. „ქართულ ბაზარზე ძალიან მაღალია იმის რისკი, რომ ეს კომპონენტიც ვერ გაიმართება და შეიძლება მივიღოთ საპირისპირო ეფექტი, ანუ ამ სისტემაში წამლების შესატანად და, შესაბამისად, მოგების მისაღებად კორუფციული გარიგებები დაიწყოს“, – ამბობს ტურძელაძე.

ეს ცვლილებები აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი იმისათვის, რომ სახელმწიფო მოხელეების დეკლარირებული მიზანი – ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვა რეალური გახდეს. თუ არ იქნება სისტემური მიდგომა, ჯანდაცვის სისტემის სისტემური პრობლემები ვერ გამოსწორდება. **■**

„დაუშვებელია ერთი და იმავე ბიზნესჯგუფების ხელში მოექცეს წამლის წარმოება, წამლის დანიშვნა, მკურნალობა, ანაზღაურება და პაციენტის მკურნალობის ხარისხის კონტროლიც. ჯანდაცვის ასეთი სისტემა საბჭოთა კავშირში არსებობდა“.



ფოტო: თემო ბაიბაშვილი

ლიბერალური ნაციონალიზმის დასასრული?

მმართველი პოლიტიკური პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ „ლიბერალური ნაციონალიზმის“ მკვეთრი მატარებელი უნდა ყოფილიყო. პარტიის ლიდერის ბოლოდროინდელმა განცხადებებმა ამაში ეჭვის შეტანის საფუძველი გააჩინა.

მიხეილ სვანიძე



ეს არ არის დასასრული, ეს დასასრულის დასაწყისიც არ არის. მაგრამ ეს, შესაძლოა, დასაწყისის დასასრული იყოს.

უინსტონ ჩერჩილი, ელ-პლამენის ბრძოლის დასრულების შემდეგ

„ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს, დაამკვიდროს წარმოდგენა, რომ ის მემარჯვენე ლიბერალური პოლიტიკური ძალაა. ასეთი ტიპის ხელისუფლებები კი ხშირად ლიბერალურ-ნაციონალისტური იდეოლოგიის არიან. „ნაციონალური მოძრაობაც“ და ქვეყნის პოლიტიკა ამ მიმართულებით ბოლო დრომდე, ავად თუ კარგად, ლიბერალურ-ნაციონალისტურ ჩარჩოში ჯდება, თუმცა გასული წლის ნოემბერში, შემდეგ კი იანვარში გაკეთებული განცხადებები გარკვეული ცვლილებების მანიშნებელია.

ქართული ნაციონალური იდეოლოგიის ფუძემდებელი მოდერნის ეპოქაში, შესაძლოა, ილია ჭავჭავაძეა. მისი ტრიადა „მამული, ენა, სარწმუნოება“ ქართული ნაციონალიზმის ფორმულად იქცა, ხოლო თავად მოღვაწე – ამ ტრიადის განსხეულებად: ეროვნული მოძრაობა მამულიშვილობასთან იყო გაიგივებული; ენის რეფორმა ილიას უკავშირდებოდა, მესამე კომპონენტი სარწმუნოება კი ილიასთან პატრიარქმა ილია

მეორემ 1987 წელს დააკავშირა. საქართველოს საპატრიარქომ ილია ჭავჭავაძე წმინდა ილია მართლად შერაცხა.

დღევანდელი გადასახედიდან ამ ფორმულას ერთი დიდი მინუსი აქვს – ის სეკულარული არ არის. „ეს საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრება“, – ამბობს ჭავჭავაძე, რითაც ტოლობის ნიშანს სვამს სასულიერო და სამოქალაქო ფასეულობებს შორის. იდეალურად, ლიბერალური ნაციონალიზმი სეკულარულია. ილია ჭავჭავაძის ფორმულის პირდაპირი გადმოტანა ამ იდეოლოგიას შეუთავსებელ რელიგიურ ელფერს აძლევს. რადგან სამოქალაქო სარწმუნოების (ერთგვარი სარწმუნოების რანგში აყვანილი ნაციონალიზმი) დამკვიდრება სახელმწიფოებრიობის მცირე გამოცდილების მქონე ქვეყანაში ხშირად ცუდად მთავრდება.

ლიბერალური ნაციონალიზმის პირველი ღია მხარდამჭერი თანამედროვე საქართველოში სწორედ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება გახდა. ის დეკლარირებულად ცდილობდა, აეშენებინა მტკიცე სამოქალაქო საფუძველზე მდგარი ერი-სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფდა კანონის უზენაესობას და დაიცავდა უმცირესობების უფლებებს. თუმცა, პრაქტიკაში ამის გატარება რთული აღმოჩნდა და ასეთი მშენებლობის პრაქტიკა ხშირად მილიტარიზმისა

ლიბერალური ნაციონალიზმის პირველი ღია მხარდამჭერი თანამედროვე საქართველოში სწორედ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება გახდა.

და აგრესიული საგარეო პოლიტიკის საფუძველი ხდებოდა.

პირველი ინაუგურაციისას პრეზიდენტმა ქვეყნის გაერთიანების ფიცი დავით აღმაშენებლის საფლავზე დადო. ეს შესტი მან 2008 წელსაც გაიმეორა. დავით აღმაშენებლის საფლავთან ორჯერ მისვლა პირველ ყოვლისა „ძველი დიდების“ დაბრუნების დაპირებაა – დროისა, როდესაც საქართველო ერთიანი და ძლიერი იყო. გარდა ამისა, ის ერის „ოქროს ხანის“ (ენტონი სმითი) აპროპრიაციის მშვენიერი მაგალითია. მაგრამ სააკაშვილის ნაციონალიზმი ყოველთვის ინკლუზიური იყო – ის ყოველთვის ხელს ინვდიდა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების მხარეს. საზოგადოებრივ მაუწყებელზე გაჩნდა საინფორმაციო გამოშვებები ოთხი ყველაზე მრავალრიცხოვანი უმცირესობის ენაზე – ყველაფერი ლიბერალური რეცეპტის მიხედვით მიდიოდა.

თუმცა, ფიცი დავით აღმაშენებლის საფლავთან სახიფათოც გამოდგა. ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ხელისუფლებას რეზერვისტების სისტემის „პატარა ძმა“, „პატრიოტთა ბანაკების“ სისტემა დასჭირდა. რუსეთთან მზარდი პოლიტიკური კონფრონტაციის ფონზე გაიზარდა სამხედრო რიტორიკა და ხარჯები. სააკაშვილი მოსახლეობას 2007 წლის დეკემბერში შეჰპირდა, რომ ცხინვალის კონფლიქტის მოგვარება „ვიკრების და თვეების საკითხი“ იყო. პუტინის რუსეთის მოძლიერებულმა და ავტორიტარულმა მმართველობამ კი დიდი სამუშაო გასწია, რომ ეს მესიჯები თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. დაძაბულობამ იმატა და აგვისტოს ომიც რეალობად იქცა.

პირველად 2009 წლის ნოემბერში, შემდეგ კი 2010 წლის იანვარში პრეზიდენტმა სკოლებში სამხედრო-პატრიოტული აღზრდის შესახებ დაიწყო საუბარი. პირველ ყოვლისა, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტში გამოსვლისას მიხელო სააკაშვილმა საქართველოს „ეროვნული სპეციფიკის“ განმსაზღვრელი ღირებულებათა ნუსხა შეადგინა. დაფაზე

ლისტური ძალადობის შეკავების ყველაზე ქმედითი პოლიტიკაა.

12 იანვარს კი პრეზიდენტმა „სამხედრო-პატრიოტული“ აღზრდის სკოლაში შემოღება გადაწყვიტა. მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განცხადებით, ეს იქნებოდა სამოქალაქო თავდაცვისა და საქართველოს სამხედრო ისტორიის შესწავლა, ასევე საქართველოში ისტორიულად მცხოვრები ხალხების ბუნებრივი მხედრული სულისკვეთების გაღვივება.

ამ ტერმინზე (military-patriotic education/upbringing, военно-патриотическое воспитание) შეჩერება ღირს, ვინაიდან პრეზიდენტის ლექსიკონში ის პირველად მოხვდა. მართალია, „პატრიოტთა ბანაკები“, როგორც ნაციონალური იდეოლოგიის განმტკიცების საშუალება, დიდი ხანია არსებობს, დეკლარირებული „სამხედრო პატრიოტიზმი“ კი სიახლეა. სახელმწიფო დონეზე აყვანილი სამხედრო პატრიოტიზმი კი სწორედ საბჭოთა პრაქტიკაა, რომელიც თანამედროვე რუსეთის ფედერაციაში პირდაპირ განერილია კანონში „სამხედრო ვალდებულების და სამხედრო სამსახურის

ცილებელია ნაციონალიზმის დანერგვა. ერი-სახელმწიფო მეჩვიდმეტე საუკუნეში, ოცდაათწლიანი ომის დასასრულს დადებული ვესტფალის ზავის შემდეგ ევროპაში, შემდეგ კი მსოფლიოში პოლიტიკური ძალაუფლების პირველადი მატარებელი სუბიექტი გახდა. მეოცე საუკუნის 90-იანებიდან დაწყებული მრავალი მკვლევარი ერი-სახელმწიფოს დაცემაზე ალაპარაკდა ტრანსნაციონალური ორგანიზაციების სასარგებლოდ, თუმცა ის პოლიტიკურად გამძლე პროექტი აღმოჩნდა. მრავალი წლის კოლონიური თუ კლემენტარული რეჟიმის შემდეგ საქართველოც ერთი ერი-სახელმწიფო უნდა გამხდარიყო.

ნაციონალიზმის კულტივირების მეორე მიზეზი პოლიტიკური, კონიუნქტურული იყო. „ნაციონალური მოძრაობა“ ქართულ პოლიტიკურ ბაზარზე თავს წარმოაჩენდა ერთადერთ მოთამაშედ, რომელიც ნაციონალურ გრძნობებს პასუხობდა. დანარჩენები – ან „რუსეთის აგენტები“, ანაც სუსტი წარმონაქმნები იყვნენ, რომლებიც სახელმწიფო ინტერესებს ვერ დაიცავდნენ. ნაციონალური სიმბოლიკის მდიდარი გამოყენება სა-

■ 2009 წლის მიწურულს და 2010 წლის დასაწყისში საქართველოს მმართველი ძალა ლიბერალური ნაციონალიზმიდან არალიბერალურისკენ გადაიხარა.

დანაზული სამკუთხედის კუთხეებში მან „ისტორია“, „ენა“ და „სამხედრო-პატრ. აღზრდა“ დაწერა. გამოსვლაში სააკაშვილმა ბევრი ილაპარაკა საქართველოს ისტორიის მრავალთნიკურობაზე (ამისთვის მან გამოიყენა საეჭვო დებულებაც, თითქოს თამარ მეფე მეტნილად ოსი ყოფილიყო), სახელმწიფო ენის სწავლების აუცილებლობას უმცირესობებისთვის და კადეტთა კორპუსების შექმნას სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ფარგლებში. „14 წლის ასაკიდან ბავშვები მომზადდებიან ოფიცრებად, 4 წლის განმავლობაში. კარგად ვაჭმევთ, კარგ ფორმებს ჩავაცემევთ, ყველა არ გამოვა ოფიცერი, მაგრამ მათი უმეტესობა გამოვა, და თუ არ გამოვა, მათთვის სამხედრო მენტალიტეტი უცხო არ იქნება“, – თქვა მან.

შესაბამისად, ილია ჭავჭავაძის ტრიადის მოდერნიზებული ვარიანტი ასეთია: მამული – მრავალთნიკური ისტორია, ენა, სამოქალაქო სარწმუნოება. ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი აქ მესამეა – სამოქალაქო სარწმუნოება. პრეზიდენტის აზრით, ნაციონალიზმის მილიტარიზაციის ხარისხი მაღალი უნდა იყოს. ეს კი ლიბერალური ნაციონალიზმის თეორეტიკოსებისთვის მიუღებელია – ისინი მიიჩნევენ, რომ ლიბერალური ნაციონალიზმი სწორედ ნაციონა-

შესახებ“.

პრეზიდენტის 2010 წლის გამოსვლაში ასევე გაიჟღერა ფრაზამ, რომ საქართველოს მასზე „5-ჯერ მოკლე ისტორიის მქონე ქვეყანა (რუსეთი)“ ედავება. „ისტორიის სიგრძის“ არგუმენტი სწორედ არალიბერალური ნაციონალიზმისთვისაა დამახასიათებელი – შესაძლოა, ის მსუბუქი ვარიანტი იყოს ანდაზისა „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“. ასეთი განცხადებები სწორედ არალიბერალური ნაციონალიზმის გამოძახილად შეიძლება ჩაითვალოს.

სკოლებში პედაგოგთა კვალიფიკაციის გათვალისწინებით, ასევე რთული წარმოსადგენია, როგორ გააღვივებენ ისინი „მოსწავლეთა მხედრულ სულისკვეთებას“ და რით იქნება ეს გაკვეთილები უფრო დახვეწილი, ვიდრე სიმღერა „ხმალი ავლესოთ, ქართველებო“. საქართველოს სამხედრო ისტორიის სწავლა კი საქართველოს ისტორიის გაკვეთილებზე კულტივირებული მითის, ქართველი მეომრის აღმატებულების პროპაგანდა შეიძლება გახდეს.

„ნაციონალური მოძრაობის“ ასეთი ლიბერალურ/არალიბერალურ ზღვარზე არსებული ნაციონალიზმის მიზეზები მრავალგვარია. პირველი – ზედაპირზე მყოფი ერი-სახელმწიფოს მშენებლობისთვის აუ-

არჩევნო კამპანიაში, ზვიად გამსახურდიას რეაბილიტაცია ასეთი ტიპის ილუზიის ლეგიტიმაციის ერთ-ერთი წყარო იყო.

მესამე მიზეზი, რომელიც მეორესთან პირდაპირ კავშირშია, არის სააკაშვილის ნაციონალიზმის მილიტარიზმთან დაახლოება. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში საგარეო-პოლიტიკური „ქორები“ თვლიდნენ, რომ ბელიგერენტული („ომიანი“) რიტორიკა – ოქრუამვილის დაპირება ცხინვალში ახალი წლის შეხვედრის თაობაზე, სააკაშვილის მიერ ცხინვალის რეჟიმის „ამოსაღებ კბილთან“ შედარება და სხვა – აგვისტოს ომის შიდა ლეგიტიმაციას მოახდენდა. ჩემი აზრით, ეს ასეც მოხდა და სწორედ ამიტომ, ხელისუფლება აგვისტოს დამარცხების შემდეგ წყლიდან შედარებით მშრალი გამოვიდა.

2009 წლის მიწურულს და 2010 წლის დასაწყისში საქართველოს მმართველი ძალა ლიბერალური ნაციონალიზმიდან არალიბერალურისკენ გადაიხარა. საინტერესოა, როგორ შეათავსებს ის „სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას“ და ამ იდეოლოგიით აღზრდილ ადამიანებს „სტრატეგიულ მოთმინებასთან“, რომელიც, ევროატლანტიკური სტრუქტურების გავლენით, საქართველოს პოლიტიკა იქნება კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში. ■



რადიო „წამწამი“ გეკავშირებათ
კლუბში „წამწამი“

- ტრადიციული ქართული საზღარეულო
- სოცხალი მუსიკა





ბანკვებანი ქახის ფოტოზა ანბაჭევა, რაბთვის ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო სარუჯახია.

American Express® საკრედიტო ბარათი

- მაღალი საკრედიტო ლიმიტი;
- დაჯილდოების პროგრამა - Membership Rewards™;
- განსაკუთრებული შემოთავაზებები;
- უსაფრთხოება;
- მსოფლიო კლასის მომსახურება.

იხსოვრეთ უკეთესად, მიიღეთ ბარათი.
ფარუკეთ ნომერი: 444 300 ან ეწვიეთ
ვებ-გვერდს: www.americanexpress.ge



American Express®-ის ექსკლუზიური წარმომადგენელი.



My life. My card.